კვირა, 1918 წლის ენკენისთვის 22

№ 2.

დამოუკიდებელი ნაციონალური პოლიტიკის ორგანო.

ფასი 60 კაპ.

გაზეთი „კლდე" ორგანო

დამოუკიდებელი ნაციონალ-დემოკრატიულ ჯგუფის მთავარი კომიტეტისა და საპარლამენტო ფრაქციის

გამოდის გრიგოლ ვეშაპელის რედაქციით

ყოველ კვირა დღეს.

გაზეთის ფასი ერთის თვით 3 მანათი, 1918 წლის დამლევამდე 10 მანათი, ცალკე ნომერი 60 კაპ.

რედაქცია ღია არის: დილის 9 საათიდან 11 საათამდე.

ადრესი: თბილისი, იზმაილოვის ქუჩა, № 27, ს. № 3. — ტელეფონი № 22.


## ცნობები.

ნამდვილი ტექსტი გერმანეთ-რუსეთის შეთანხმებისა საქართველოს დამოუკიდებლობაზე.

---

კათოლიკოს კირიონის გარდაცვალების გამოძიება დასრულდა, მკვლელობის ფაქტი უარყოფილია. საქმე წარდგენილია სასამართლოში მოსასპობად. — სოჩის სოციალისტებმა დაადგინეს საქართველოსთან შეერთება. — მაკედონიის ფრონტზე დაიწყო შეტევა ბოლგარეთის წინააღმდეგ. — პალესტინის ფრონტზე ინგლისელებმა განაახლეს ოსმალეთის შეტევა —.

---

ბრესტ-ლიტოვსკის დამატებითი ხელშეკრულების ტექსტი.

მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტის კანონი.

წინაძღვარიანთ სამეურნეო შკოლა.

+ მიტროპოლიტ ანტონი (ნეკროლოგი).

## წერილები.

მეთაური: პარტიის რეორგანიზაცია.

გრ. ვეშაპელის სიტყვა: საქართველოს ღერბი.

ვ. წერეთელი: მიწის ნორმა.

დ. ვაჩნაძე: რატომ არა გვყავს ჯარი?

შ. ქარუმიძე: „საქართველოს განთავისუფლების კომიტეტი".

ქართული პრესა: გ. ჟურულის ფინანსიური პოლიტიკა.

გერმანული პრესა: გერმანიის ეკონომიური როლი საქართველოში.

რ. გაბაშვილის: პასუხი რკინის გზათა უფროსს

ფელეტონი: რიხტერის წიგნიდან: „სოციალისტური სახელმწიფო.

## თფილისი, ენკენისთვის 21.

# პარტიის რეორგანიზაცია.

ჩვენს ხელშია ქუთაისის საგუბერნიო თათბირის დადგენილება შესახებ ნაციონალ-დემოკრატიულ პარტიის განხეთქილებისა. რეზოლიუცია, გამოტანილი ქუთაისის თათბირზედ, ერთის მხრივ მხარს უჭერს მეუმრავლესე მთავარი კომიტეტს დისციპლინარულ მოქმედებას ფრაქციის რეორგანიზაციის საქმეში, მეორეს მხრივ, რეზოლიუცია გამოსთქვამს „მტკიცე სურვილს, მიღებულ იქნეს ზომები ამ ინციდენტის პარტიის ინტერესების მიხედვით სალიკვიდაციოთო".

როგორც სჩანს, ქუთაისის პარტიულ თათბირს არა ჰქონია ნამდვილი წარმოდგენა იმ მიზეზებზე, რომელთაც გამოიწვიეს პარტიის გაყოფა და დამოუკიდებელი კომიტეტისა და ფრაქციის დაარსება (ქუთაისის თათბირს არ დასწრებია ჩვენი წარმომადგენელი და არც გაზეთი „კლდის" 1 ნომერი იქნებოდა ჩასული იმ დროს).

ეხლა რაც „კლდის" პირველ ნომერში ვსთქვით ჩვენი დამოუკიდებელი ორგანიზაციის დაარსების მიზეზზე (არაკლასიური სახელმწიფოებრივი ნაციონალური პოლიტიკის წარმოება პარტიის მიერ, მიწის საკუთრების ხელუხლებლობის დაცვა თანახმად პროგრამისა, საპარლამენტო ოპოზიციის წარმოება სოციალისტურ მთავრობის დროს) — ამას გარდა დღეს საჭიროა ახალი ფრჩხილების გახსნა და შემდეგის უწყება

ჩვენი პარტიის პროგრამას და ტაქტიკას არღვევდა ის „მემარცხენე" ფლანგი, რომელიც მუდამ პარტიის «ბურჟუაზიულ» რეორგანიზაციაზე გაჰკიოდა და მუდამ მარცხდებოდა.

ეს „ბურჟუაზიული" ფლანგი ნამდვილ ეროვნული ტრადიციის მრეწველთა და ვაჭართა შეთანხმებით კი არ მოქმედებდა, არა, „ბურჟუაზიული" რეორგანიზაცია საპარლამენტო ფრაქციისა იყო ფარდა, რომლის უკან აკეთებდა თავის საქმეს აკაკი ხოშტარიას და რაჟდენ დათეშიძის ცნობილი ჯგუფი. ამ ჯგუფის სპეკულიანტთა გავლენა იყო, რასაკვირველია, არა იდეური, არამედ ფინანსიური, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ა-ნთ ხოშტარია — დათეშიძის მადლი არა ერთხელ მოცხებია ფრიად მარცხენა, სოციალისტურ გაზეთებსაც (თავის „დასასტრახავად", ალბად). აი ამ ჯგუფს ეროვნულ საბჭოს საპარლამენტო მოქმედების დროს ვერას გზით ვერ მოენელებინა ჩვენი ოპოზიციური ტაქტიკა; მათ უნდოდათ „თავისი კაცი" მთავრობაში სხვა და სხვა კომბინაციებისათვის. ამიტომ იყო, რომ, მიუხედავათ პარტიის დადგენილებისა გიორგი ჟურული დააჩინეს მთავრობაში და ერთ დროს მისთვის „ზომიერ სოციალისტურ მრეწველთა ჯგუფსაც" კი აარსებდნენ. ეს ჯგუფი მუდამ თავს იკლავდა, რათა ისეთი რეორგანიზაცია მოეხდინა ჩვენს ფრაქციაში, რომ დამოუკიდებელი ნაციონალისტების ხმა ჩაეხშობინა ჩაჩუმებულიყო და თავისუფალ სკამებზე მათი „პრიკაშჩიკები" და აგენტები დაესვათ — ალბად ფრანგული პარლამენტის ტრადიციის შესაქმნელათ. ა. ხოშტარიასა და რ. დათეშიძეს ამ საქმეში ეხმარებოდა ის ნაწილი ჩვენი პარტიის ზედა-სართულისა, რომელიც პირად კარიერას ასე კარგად აგუებდა ნაციონალ-დემოკრატიულ პარტიულ მუშაობასთან; სოციალ-დემოკრატია თავის მხრივ ხელს უწყობდა ჩვენი პარტიის მემარცხენეთა მოღვაწეობას იმიტომ, რომ მას უნდოდა მოეშორებინა პარლამენტიდან დამოუკიდებელი ნაციონალისტები და მათ ალაგას დაესვა ის ხალხი, რომელსაც თვით ირაკლი წერეთელი ასეთი მოურიდებლობით ხან „ლაჩრებს" ეძახოდა და ხან კიდევ ჰეინეს ზღაპრების უკუდო ძაღლებს ადარებდა.

ამიტომ იყო, რომ ეროვნულ საბჭოში, როცა ბორჯომზე შეკითხვის დროს აკ. ხოშტარიას, რაჟდენ დათეშიძეს და მათ კომპანიას მთელი საქართველოს თვალწინ მთავრობამ თავი მოსჭრა და „ტყავის" და „პრობკის" სპეკულიაციების ბრალი მთელს ნაციონალ-დემოკრატიულ პარტიას მოეხვია თავს ამის შემდეგაც სპეკულიანტები და ჩვენი პარტიის მემარცხენე ფლანგის წევრები, „საქმიან" ნიადაგზე, მაინც ერთად იყვნენ და არიან.

კიდევ უფრო მეტი სკანდალი მოელის რ. დათეშიძისა და ა. ხოშტარიას სპეკულიაციას და მის სამსახურში მყოფ ზოგიერთ ნაციონალ-დემოკრატებს ამას იქით სხვა და სხვა ეკონომიურ შეკითხვების დროს (პურის საკითხი, ფულის საკითხი და სხვა ბევრი).

ჩვენ, ნაციონალისტებმა ველარ გავძელით ამ ჭაობში და სწორედ ამიტომ დავაარსეთ დამოუკიდებელი (ვისგან?- პირველ ყოვლისა სპეკულიანტებისაგან) ნაციონალ-დემოკრატიული კომიტეტი და საპარლამენტო ფრაქცია.

ამიტომ როცა პროვინციის ორგანიზაციები, მოშორებულნი დედა ქალაქის პოლიტიკურ ცხოვრებას, მხოლოდ „დისციპლინარულ ინციდენტს" ხედავენ ჩვენი პარტიის გაყოფაში და ამ ინციდენტის „ლიკვიდაციისთვის" იღწვიან, — ჩვენ ერთხელ და სამუდამოთ გადაჭრით ვაცხადებთ: გასწმინდეთ ეროვნული სახელის მატარებელი პარტია ერთი მუჭა სპეკულიანტების ტყვეობისაგან, გასწმინდეთ ჩვენი პარტიის აღმასრულებელი ორგანოები იმ ხალხიდან, რომელთაც ჩვენი პარტიის სახელმწიფოებრივი იდეალები ესე გაუგიათ, რომ საჭიროა მსხვილი ალაგების დაჭერა სამინისტროებში, და რომელთაც „ბურჟუაზიული" იდეოლოგია ისე ესმით, რომ საჭიროა პირადათ რაც შეიძლება მალე გამდიდრება, თუნდაც ქართულ ხაზინის ხარჯზე და ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის პროტექციით. მხოლოდ მართლადაც და ასეთი განწმენდის შემდეგ შეიძლება ჩვენი ლოზუნგების ქვეშ პარტიის გამთელება ერთ ორგანიზაციაში. უამისოდ ინციდენტებზე და ლიკვიდაციაზე ლაპარაკი უბრალო დელიკატური მიკიბვ-მოკიბვაა და არა პოლიტიკური საქმიანობა.

ჩვენი გზა ყველასათვის ნათელია — ეს არის დამოუკიდებელი ნაციონალური პოლიტიკის წარმოება — ვისაც ეს გზა სწამს, წამოვიდეს ჩვენთან, ვისაც არა სწამს, იაროს თავის გზებით.

ახლო პოლიტიკური მომავალი გვაჩვენებს ვინ იყო მართალი ეროვნული სახელმწიფოს ინტერესის თვალსაზრისით.

---

# საქართველოს ღერბი.

## გრიგოლ ვეშაპელის სიტყვა *)

ნაციონალისტების თვალსაზრისი ისეთი სახელმწიფოებრივი საკითხების გადაწყვეტის დროს, როგორიცაა ღერბი — არის ეროვნული ჩვეულება — ტრადიცია.

ჩვენი სოციალ-დემოკრატიის ბელადები: ირაკლი წერეთელი და ნოე ჟორდანია უარყოფენ საქართველოს ტრადიციას.

ნოე ჟორდანიამ ამას წინ, დიქტატორობიდან დასვენების დროს, დასწერა პარტიული მოხსენება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციაზე ამ მოხსენებაში ბ. ჟორდანია გადაჭრით აცხადებს: „საქართველო არის tabula raza (სუფთა ფიცარი), იგი არ არის შებოჭილი არც ნაციონალური სახელმწიფოებრივი იდეოლოგით, არც სახელმწიფო ტრადიციითო!!".

ჩვენ, ნაციონალისტები სხვანაირად ვფიქრობთ: საქართველოს სამი სახელმწიფოებრივი ტრადიცია მაინც აქვს, ისეთი, რომელიც რესპუბლიკამაც უნდა დააკანონოს, ეს არის: ჩვენი სახელმწიფოს სახელი, დროშა და ღერბი.

თუ ბ. ირ. წერეთლის სოციალისტურ დეკადენტობას დავუჯერეთ — არ გვინდა ტრადიცია, ყველაფერი დღევანდელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის თვალსაზრის უნდა შევუფარდოთო, მაშინ რატომ თვით სახელიც „საქართველო" არ გამოუცვალეს ჩვენს სახელმწიფოს. ხომ ვიცით, რომ „საქართველოს" სახელით უწინ ისეთი სამეფო არსებობდა, რომლის შინაურ და გარეშე პოლიტიკის ტრადიციებს იმისა ან ზავის დროს შეუძლია გლახა მოგონებანი აღუძრას ზოგი ერთს მოქალაქეს ან და ზოგიერთ მეზობელს. რატომ ვერ გაბედეს რომელიმე ულტრა დემოკრატიულ სახელის გამონახვა ჩვენი რესპუბლიკისათვის?

ან და რატომ ვერ გაბედეს ჩვენი ტრადიციულ სახელმწიფოებრივი სამეფოიანი დროშის უარყოფა და რატომ ანაცვალეს მას სოციალ-დემოკრატიული წითელი დროშა, რომელიც დღეს დღეობით ორ სახელმწიფოსა აქვს დროშათ აღიარებული, რუსეთის რესპუბლიკას და აფრიკის ამპერიას — მაროკოს.

ახლა ჯერი ღერბზეა. ღერბიც უნდა ტრადიციული დავაკანონოთ — თეთრი გიორგი, შეიძლება ზოგიერთს გიორგის ღერბი სამეფო ღერბად მიაჩნია და ამიტომ ებრძვის მას: ეს გაუგებრობაა: საქართველოს მეფეთა ღერბი, ღერბი ბაგრატიონთა დინასტიისა სხვა იყო — (ქრისტეს სამოსელი, ხმალი, სასწორი, დავითის ქნარი, წმ. გიორგი; გარშემო ორი ლომი და ზედ გვირგვინი), ასე რომ რესპუბლიკანური სვინდისი დამშვიდებული უნდა იყვეს როცა გიორგის ვაკანონებთ სახელმწიფო ღერბად.

ირ. წერეთელი გვირჩევდა ისეთი ღერბი უნდა დავხატოთ, რომ საქართველოს დღევანდელ მდგომარეობას შეეფერებოდესო. და ამიტომ ამირანის ნახატის მომხრე იყო — ეს სიმბოლო იქნება იმ გაჭირვებისა იმ ტანჯვისა, რომელშიაც დაიბადა საქართველოს რესპუბლიკა და რომელშიაც გვიხდება ჩვენ ბრძოლა ურიცხვს მტერთანო.

ირ. წერეთელი არ ანგარიშობდა ერთ რამეს: თუ პარლამენტისა და მთავრობის უმრავლესობის პარტიას შესაძლებლად მიაჩნია სახელმწიფო ტრადიციების დარღვევა და დღიური ლოზუნგების დახატვა სახელმწიფოს ღერბად — მაშინ რამდენ ხანს უნდა გაძლოს ასეთმა ღერბმა ვინ დაუშლის ხვალ ან ზეგ ყოველ ახალ მთავრობას, ან ყოველ ახალ პარლამენტს ყოველთვის თავისი პროგრამისა და ტაქტიკის მიხედვით ცვალოს სახელმწიფო ღერბები. და რაღა ღერბი იქნება მაშინ ეს?

ამას გარდა მიუღებელია თვით ის პესიმისტური მესიანიზმი, ის სასოწარკვეთილება, რომელიც აიძულებს ბ-ნ წერეთელს სწორედ ტანჯული ამირანი გვირჩიოს სახელმწიფო ღერბად.

ასეთი ყოფილა საქართველოს ბედი — ყველაფერში უნდა გამონაკლისი ვიყოთ სხვა ხალხებიდან. — ყოველ ერს ჰყავს მესიანისტები, რომელნიც დიდების მომავალს უქადიან სამშობლოს, ჩვენში კი მესიანიზმიც უკუღმართი ყოფილა — უიმედობა და ტანჯვა წარსულში, უიმედობა და ტანჯვა აწმყოში, უიმედობა და ტანჯვა მომავალში — აი ბ-ნ ირ. წერეთლის მესიანიზმი.

ჯერ ერთი რა გვაქვს მაინც და მაინც სატირალი და თავში ხელსაწყები: რაც უნდა იყოს მაინც განთავისუფლებული ვართ მონობისგან და, მიუხედავათ სოციალ დემოკრატების დაგვიანებით შეცდომებით და უგულობით მუშაობისა — ჩვენი სახელმწიფო გარეშე, საერთაშორისო პირობების კარნახით მაინც შენდება.

რაც უნდა მწარე იყოს ჩვენი სახელმწიფოს შენების დღეები, ჩვენ ღრმათა გვწამს, რომ საქართველოს უდგება ხანა ბრწყინვალე, ძლიერი სახელმწიფოებრივი არსებობისა საქართველო იქნება კავკასიაში ის, რაც არის ბულგარეთი ბალკანეთში.

მაშ რატომ უნდა გადავცეთ მემკვიდრეობით ახალ საქართველოს ტანჯვისა და ჯაჭვის გმირის, ამირანის სიმბოლო სახელმწიფო ღერბად?

რა უნდა სთქვან ჩვენმა მეზობელმა ერებმა, რა უნდა სთქვან ჩვენმა მოკავშირე სახელმწიფოებმა, როდესაც დაინახავენ, რომ საქართველომ უარჰყო ძველი სახელმწიფო ღერბი, ევროპაშიც და აზიაშიც პატივცემული სიმბოლო გიორგისა და გასცვალა იგი ამირანზე?... ამირანი — პრომეთეოსი ხომ განთავისუფლებული გმირის სიმბოლო არ არის, ამირანი მიჯაჭვული ტანჯული გმირია.

ერთად ერთი ხალხი, რომელიც გაიგებდა ასეთ დეკადენტობას, იქნებოდა სოციალისტური რუსეთი, ის რუსეთი, რომელსაც ასეთის ვაი-ვაგლახით შორდებოდა ჩვენი სოციალ-დემოკრატია და რომელსაც ასეთის გულ-მხურვალე სასიყვარულო ეპისტოლეებს სწერდა გაყრის ჟამს „იძულების გმირი" ირ. წერეთელი.

ჩვენ ვერ გავყვებით ამ ოლიმპიურ გზას: იმას რომ მივსდიოთ, თუ რა ნახატი უფრო პოპულიარული იქნება ჩვენი ხალხის დღევანდელი მდგომარეობის მიხედვით, მაშინ არსენა ოძელაშვილის სიმბოლო გიორგისაც აჯობებს და ამირანსაც ჩვენი ქვეყნის ანარქიულ მდგომარეობას და ყაჩაღურ ინსტინქტების გაბატონებას ყველაზედ უფრო სწორედ გმირი არსენა შეჰფერის.

და თუ არსენა არ გინდათ, მაშინ ამირანსაც თავი დაანებეთ, რადგან ამირან-პრომეთეოსიც ენათესავება არსენას სიმბოლოს.

თუ ამირანში ბერძნულ პრომეთეოსს ხედავთ, მაშინ მოიგონეთ, რომ პრომეთეოსმა რაინდობა ცეცხლის მოტაცებით კი არა იმით დაიწყო, რომ ღმერთის მოტყუება მოინდომა მსხვერპლის შეწირვის დროს: ხორცი ტყავში გახვია და ძვლები კი ქონით დაფარა: უნდოდა ღმერთი მოეტყუებინა, ქონში გახვეულ ძვლებს ეტაკება და ხორცი ხალხს დარჩებაო. შეიძლება პრომეთეოსის სურვილი თავის თავად კარგი იყო დემოკრატიისათვის, მაგრამ უბედურება იმაშია, რომ ღმერთმა გაუგო ყველაფერი და თუ მაინც ქონიანი ძვლები წაიღო, მხოლოდ იმიტომ, რომ შემდეგ მოტყუებისათვის შარი მოედო, როგორც პრომეთეოსისათვის, ისე მთელის ხალხისათვის: ამისათვის იყო რომ დასაჯა ხალხი ცეცხლის წართმევით; მერმე პრომეთეოსმა ცეცხლი მოიტაცა და ისევ დაუბრუნა ხალხს, მაგრამ თვითონ კი საუკუნოდ მიჯაჭვეს კლდეზე.

ასეთია პრომეთეოსის ზღაპარი. შეიძლება, საქართველოს სოციალ-დემოკრატიას ჰგონია რომ ასეთი სიმბოლო მოსაწონია მისი ისტორიული ღვაწლისათვის, — ჩვენ კი აქ ვერაფერს მოსაწონს ვერა ვხედავთ.

ეხლა მოვიგონოთ ქართული პრომეთეოსი — ამირანი რა რაინდი ბრძანდება: ხალხური გადმოცემით ამირანი იმიტომ მიჯაჭვეს, რომ მან თავის სიჩერჩეტით თავის ნათლიას, იესო ღმერთთან ჭიდაობა მოუნდომა. იმერულ ზღაპარში ამირანს პირდაპირ „როკაპი" ჰქვია .. პროფესორ ხახანაშვილის გამოკვლევით კი ამირანი არის გადაქართულებული სპარსული მითოლოგიური არიმანი — „სული ბოროტი"...

ამიტომ უნდა დავანებოთ თავი ამირანობას და დავუბრუნდეთ საქართველოს სახელმწიფო ღერბზე გამოხატულ რაინდს — თეთრ გიორგის.

იტყვიან, ქართველ ხალხისათვის თეთრი გიორგი წმიდა გიორგი იქნება და წმიდა გიორგი კი კლერიკალური სიმბოლოა, რომელსაც ქართველი ხალხი არ მოიწონებსო.

არ ვიცი რომელ ხალხს გულისხმობენ, მაგრამ თვით ისეთი ულტრა-დემოკრატიული წოდება რომ ავიღოთ, როგორიც არის წითელი გვარდია — მას არ ეთაკილება წმიდა გიორგის სიმბოლო. ამას წინად გაგრის ფრონტზე მდგომი რაზმი თბილისის მუშათა საბჭოს გვარდიისა აუწყებდა თავის უფროს, ჩვენ დემოკრატები ვართ, ყოველ გვარი ჯილდოების მიღების წინააღმდეგი, მხოლოდ — „მთელს რაზმს ერთი რევოლუციური დროშა გამოუგზავნეთ შესაფერი წარწერით მთავრობისგან და წმიდა გიორგის ლენტით ნიშნათ გმირობისა",

არ ვიცი რა აზრისაა ამაზე გვარდიის გენერლები, მხოლოდ სალდათებს, ხალხს, როგორც ხედავთ ძალიან პატივისცემა ჰქონიათ არა თუ უბრალო გიორგის, წმინდა გიორგისაც.

საქართველოს სახელმწიფოს ტრადიციული ღერბი რომ გიორგია, ეს რუსეთის ძირითად კანონებშიც იყო დაწერილი, იქ სადაც რუსეთის იმპერიის შემადგენელ სამეფოთა ღერბებია აღწერილი. და ეს მარტო რუსეთში კი არა, მთელს ევროპაშიც იციან, სადაც საქართველოს სახელი „გიორგიათ", ითარგმნება. საქართველოს მფარველ გიორგის სახელი კარგად იციან აზიაშიც, ჩვენ მეზობელ სამაჰმადიანო სახელმწიფოებში. ეხლა განთავისუფლებულ საქართველოს მიერ, ძლევამოსილ გიორგის გაცვლა მონობისა და ტანჯვის სიმბოლოზე, — მიჯაჭვულ ამირანზე — შეუძლებელია.

ჩვენ უნდა დავაკანონოთ ჩვენი ტრადიციული სახელმწიფო ღერბი, რადგან თვით სიტყვა ღერბი ნიშნავს „მემკვიდრეს" და ყოველი სახელმწიფოს ღერბი არის უცვლელი და საშვილიშვილო.

*) ნათქვამი ეროვნულ საბჭოში 17 სექტემბერს როცა საქართველოს ღერბად გიორგი დაკანონდა.

# მიწის „ნორმა“ და სამეურნეო კულტურა.

ამიერკავკასიის სეიმის მიერ გამოცემული დეკრეტის ძალით მემამულეებს მხოლოდ შვიდ-შვიდი დესეტინა დაუტოვეს, ზედმეტი კი ჩამოართვეს და სახაზინოდ გამოაცხადეს.

ამბობენ, ჩამორთმეულ მიწებს უმამულო მიწისმუშებს მიჰყიდიანო. მაგრამ, უეჭველია, ყიდვა-გაყიდვა შვიდ-დესეტინიანი ნორმით იქნება განსაზღვრული: შვიდი დესეტინის პატრონს ნახევარი დესეტინის ყიდვის უფლებაც კი არ ექნება.

ამგვარად სამეურნეო კულტურა ჩვენში შვიდდესეტინიანი ნორმის ფარგალში მოემწყვდა. შესაძლებელი იქნება თუ არა ამ პირობებში მეურნეობის განვითარება?

ჩვენ ვიცით, რო სამრეწველო-კულტურიი განვითარებისათვის საჭიროა, როგორც წვრილი და საშუალი, აგრეთვე დიდი სამრეწველო წარმოება. თვითეული სახელოსნო და ქარხანა იმავე დროს ლაბორატორია არის, ე. ი. ცდის, დაკვირვებისა და შემოქმედებითი მუშაობის პირობას წარმოადგენს. და, უეჭველია, რამდენადაც უფრო მრავალ-მხრივია ცდა, მით უფრო ნაყოფიერია შემოქმედებითი მუშაობა.

შეადარეთ პატარა ქიმიური ლაბორატორია დიდს: მეცნიერის შემოქმედებას მხოლოდ დიდს, კარგად მოწყობილ ლაბორატორიაში შეუძლია იპოვოს ფართო სარბიელი.

დიაღ, ღარიბი სამეცნიერო ლაბორატორია სამეცნიერო შემოქმედებას სულს უხუთავს, მეცნიერების განვითარებას წინ ეღობება.

იმავე დროს, როდესაც სამეცნიერო აღმოჩენას ბაზარი არ აქვს, ე. ი. სამეცნიერო აღმოჩენა მოუხმარებელია, სამეცნიერო შემოქმედების წყარო სათავეშივე შრება,

დიდი და მდიდარი უნივერსიტეტები რომ არ ყოფილიყვნენ მდიდარ ფიზიოლოგიურ კაბინეტებში მუშაობა უნაყოფო იქნებოდა. სამეცნიერო შრომის ნაყოფსაც აგრეთვე სჭირდება ბაზარი, როგორც ყოველსავე სხვა საქონელს.

ქიმიური მრეწველობა ქიმიის განვითარების შედეგია, ელექტრონის ენერგიის თანდათანობითი გამრავლება—ფიზიკის შეუჩერებელი განვითარებისა და ჰაერში ფრენა, რომელიც, შეიძლება ითქვას, საზღვრად დაედება მეცხრამეტესა და მეოცე საუკუნეებს,—მექანიკისა. იმავე დროს ვერცერთი ხსენებული მეცნიერება ვერ განვითარდებოდა ცდისა და თვინიერ საბაზრო საჭიროებისა.

საშრატო სამკურნალო საშვალებათა მომზადება პატარა ლაბორატორიებში განა შეიძლება? და ვინ მოამზადებდა ასეთს სამკურნალო საშუალებათ, დიდი და მდიდარი სამკურნალოები რომ არ ყოფილიყვნენ?!

როგორც ყველა სამეცნიერო დარგში, აგრეთვე სამეურნეო ხელოვნებაში საჭიროა, როგორც წვრილი, აგრეთვე დიდი საცდელი, საძიებელი სარბიელი.

და, ლიბერალური სისტემის მწერლებს რომ თავი დავანებოთ, ამას თვით სოციალიზმის იდეოლოგებიც მოწმობენ.

კარლ მარქსი ამბობს: მეცნიერების უკანასკნელი აღმოჩენანი მხოლოდ დიდ სასოფლო მეურნეობაში შეიძლება იქნეს მოხმარებულიო. ამასვე ამტკიცებს კარლ კაუტსკიც. და სწორეთ ეს ედვა საფუძვლად დღემდის ჩვენი სოციალ-დემოკრატიის საბიჯო პროგრამას.

მათ მიერ გამოცემულ მიწის დეკრეტს კი, რომელიც შვიდ დესეტინიან ნორმას აკანონებს, სოციალ-დემოკრატიისავე იდეოლოგების მოძღვრებას. თან საერთო არა აქვს-რა. და, ლასალი რომ ცოცხალი ყოფილიყო, უთუოდ იტყოდა იმასვე, რაც გერმანიის მეთოთხმეტე-მეთექვსმეტე საუკუნეთა გლეხთა აჯანყებათა შესახებ: ეს—ისტორიული ბორბლის უკან დატრიალებააო.

სამეურნეო მოსახლობის შვიდ-დესეტინიანი ნორმით შემოფარგვლა—სამეურნეო მეცნიერების შეხუთვას მოასწავებს, ვინაიდგან მეცნიერება ასეთს შევიწროებას ვერ ითმენს.

ამ დეკრეტის განხორციელება, პირიქით, ანგრევს და მალე სრულიად დაანგრევს სამეურნეო კულტურის საუკეთესო ნიმუშებს.

გაუმჯობესებული, მეცნიერულ საფუძველზე დაყენებული მიწის მოქმედება შვიდ დესეტინაზე შეუძლებელია. რაციონალური ქირნახულ-შეცვლითი მეურნეობა შვიდ დესეტინაზე აგრეთვე შეუძლებელია.

ღვინის დაყენებისა და შენახვის საქმის მოწყობა მეცნიერული მეთოდით—შეუძლებელია პატარა მევენახისათვის.

საბოლოო საქმის მეცნიერულად დაყენებაც მხოლოდ დიდს სამეურნეო მოსახლობას შეუძლია.

იმავე დროს დიდი სამეურნეო წარმოება ასაზრდოებს წვრილ სამეურნეო წარმოებას: უკანასკნელი სესხულობს და გადანერგავს ხოლმე პატარა მასშტაბით იმას, რასაც დიდი მეურნეობა ქმნის.

მაშასადამე, არ არის საკვირველი, ხსენებულმა დეკრეტმა რომ რესპუბლიკის სამეურნეო კულტურა გაანადგურა. მან მოსპო, სადაც კი იყო: გაუმჯობესებული რძის მოქმედება, გაუმჯობესებული ღვინის მოქმედება, განვითარებული საბოსტნო კულტურა და სხ. სახელმწიფომა კი ასეთს მამულებს დაპირების და მიუხედავად ვერ მოუარა.

მიწის მოქმედს თავის ოცდაათ დესეტინაზე გაუმჯობესებული რძისმოქმედება შეუქმნია; შვიდ დესეტინაზე მეტი ჩამოართვეს და მაშასადამე მისი მოსახლობა დაანგრიეს, კულტურა გაანადგურეს.

მიწისმოქმედს თავის ოცდაათ დესეტინაზე სამაგალითო ვენახი, ბაღი, ბოსტანი, სათიბი, ტყე და სხ. გაუკეთებია. შვიდი დესეტინაზე მეტი ჩამოართვეს და მისი მეურნეობის მთლიანობა დაარღვიეს, მაშასადამე, მისი სამეურნეო მოსახლობა გააუქმეს.

ამგვარად ხსენებულმა მიწის დეკრეტმა რესპუბლიკაში მიწის მოქმედებას კაპიტალი და მეცნიერება ჩამოაშორა და მით სამეურნეო კულტურა გაანადგურა. მაშასადამე თუ შვიდ დესეტინიანი ნორმა ძალაში დარჩება, ქვეყანა გავერანდება.

მაშ როგორ უნდა გადაწყდეს მიწის საკითხი?! როგორი რეფორმაა საჭირო?!

რეფორმამ მხოლოდ ბუნებრივ სამეურნეო განვითარებას უნდა შეუწყოს ხელი. ჩვენ ვიცით, მაგალითად, რომ მიწა თანდათან გადადის იმის ხელიდან, ვისაც მისი მოხმარება არ შეუძლია, მის ხელში, ვისაც მოხმარების უნარი აქვს. მაშასადამე სახელმწიფო მოვალეა შეღავათიანი კრედიტის შემწეობით მიწების შეძენა გაუადვილოს ნამდვილ მეურნეებს.

ამავე მიზნისათვის სახელმწიფოს ნება აქვს დაანაწილოს მესაკუთრეთა შორის რომელიმე ლატიფუნდია, რომელსაც პატრონი უვლის.

სახელმწიფოს ნება აქვს აგრეთვე ჩამოართვას შესყიდვით მიწის პატრონს მამული, რომელიც აუცილებელია სახელმწიფოსათვის, მაგალითად, რკინის გზისათვის, საახალშენოდ, კოლონიზაციისათვის, უმაღლესი სამეურნეო სამეცნიერო დაწესებულებათათვის და სხ.

მესაკუთრის სამართლიანი უფლება კი ყოველ შემთხვევაში უზრუნველყოფილი უნდა იყოს, ვინაიდგან, კერძო საკუთრების პრინციპი თუ უარყოფილი იქნება, ალარავინ არაფერს აღარ გააკეთებს.

დასასრულ, მიწის თავისუფალი ყიდვა-გაყიდვა აუცილებელია იმ მხრით, რომ მხოლოდ ამ პირობით არის შესაძლებელი მიწის მობილიზაცია ანუ მამულის ხელიდან ხელში გადასვლა, ე. ი. ის ბუნებრივი პროცესი, რომელიც წარმოების განვითარებას მიწის მფლობელობით შესაფერ ფორმას უკავშირებს და ათანხმებს.

გაბრიელ წერეთელი.

# რატომ არა გვყავს ჯარი.

ჩვენი ჯარის ორგანიზაციის საქმე მძიმე კრიზისს განიცდის. მიუხედავად მთავრობის მიერ გამოცემულ სამხედრო კანონებისა და მრავალ განკარგულებებისა, ქართულ ჯარის ორგანიზაცია მაინც წინ არ მიიწევს.

მობილიზაცია საქართველოში ნამდვილ მასკარადათ გადაიქცა. დღეს გამოცხადდება ასი ახალგაზრდა, ხვალ ოთხმოცდაათი გაიკრამს ჩექმას და ტანთსაცმელს და შინ ბრუნდება. ვისაც სურს, მობრძანდება, ვისაც არა შინა რჩება.

ჯარისკაცების მოკრეფვა სოფლად არა ნაკლებ კარიკატურულია. ამ ბედნიერ დემოკრატიულ ხანაში ბევრს სოფელში საოჯახოსიები, როგორც ძველი რეჟიმის ნაშთები გამქრალა და გასაწვევ ახალგაზრდების წლოვანებას სახეზე შეხედვით იკვლევენ. ზოგი მათგანი ფიცულობს მე 18 წლისა ვარო, ზოგი—23-სა. ზოგი სტყუის ზოგი მართალს ამბობს მაგრამ მოსამართე არ ვინა ჰყავს და ორივეს ერთად ჯარში ერეკებიან.

გაქცეულ დეზერტირებს სოფლის ადმინისტრაცია მხიარულად უხვდება და ზოგან ულოცავს კიდეც მათ კონტრრევოლიუციონერებისაგან განთავისუფლებას...

დეზერტირები კი ეფინებიან სოფლებს, ავრცელებენ ათასგვარ ჭორებს, მაგალითად—„ინგლისელებთან გვაომებენო“ და რევენ ისედაც გადარეულ ცრუ ხმებით ჩვენს სოფლის მცხოვრებლებს.

არც ქალაქშია სანუგეშო მდგომარეობა. ქართველი ჯარისკაცი უმეტეს შემთხვევაში დღემდის თითქმის მოუვლელი და უპატრონოა. მას ყველაფერი აკლია.

დღისით—საჭმელი, ტანთსაცმელი, ჩექმა ღამე—ლოგინი, განათება და ბინის სისუფთავე. მაგრამ ყველაზე საგრძნობლად ჯარის კაცს პურის და ფულის კრიზისი ემჩნევა. გირვანქა „გამომცხვარი“ ნაგავი (და არა პური) რომელიც ეძლევა ჯარის კაცს დღიურ ულუფად, მართლაც გადასარევია, მით უფრო როცა ის ხედავს, რომ სახალხო გვარდიელი ორ გირვანქა მშვენიერ პურს მიირთმევს. წარმოიდგინეთ ეხლა სულისკვეთება იმ სოფლელისა, შეჩვეულისა ნოყიერ სოფლის პურისა, რომელსაც ასეთ საზარელ სუროგატით უხვდება ყაზარმაში სამხედრო უწყება. და ეს იმ დროს, როდესაც ჯარისკაცს შინ პური თავზე საყრელი აქვს ან და წარმოიდგინეთ ერთი წუთიდ მისი მდგომარეობა, როდესაც მას ჯიბეში პაპიროზის ფულიც კი არ ემოვება, რადგანაც „ფულის ნიშნების სიმცირის გამო“ მას 2-3 თვე ორთუმნიანი ჯამაგირიც კი არ ეძლევა, და ეს მაშინ როცა მრავალ კერძო რაზმებზე და გვარდიაზე მილიონები იხარჯება. ამ უპატრონობას დაუმატეთ ისიც, რომ ყველგან ცნობილი სამაგალითო კორპორაცია ქართველთა ოფიცერთა წრე დღითი დღე იხრწნება, ირყვნება და იშლება.

უნტერ ოფიცრები ჩვენს მუდმივ ჯარში ხომ გაჰქრნენ. მათ ირჩიეს სამსახური სახალხო გვარდიაში, სადაც კარგათ აჰმევენ, ასმევენ და კაი ჯამაგირსაც აძლევენ, და სადაც დისციპლინით არ აწუხებენ.

მუდმივ ჯარს ეს აუცილებელი კადრი კი აღარ ჰყავს. კარგი ოფიცრებიც მცირე ჯამაგირიანობის გამო (უნცროსი ოფიცრები დღემდის 230 მანათს იღებენ) ნელ ნელა სტოვებენ ჯარს და სხვა ალაგებს დაეძებენ. ვინცა რჩება, დიდათ შევიწროვებული და დატანჯული მიაჩანჩალებს თავის სამსახურს, როგორც საკატორღო ტვირთს. მაგრამ უფრო სამწუხაროსა რომ ამ წრეში ძალიან მოიკიდა ფეხი ყოველგვარ გარყვნილობამ. ჯარში ზ ო გ ი — სპეკულიანტობს, ბევრი ლოთობს და მრავალმა სათამაშო კარტს მიჰყო ხელი. სამსახურში გვიან მოდიან, ადრე მიდიან ან და სრულ არ ჩნდებიან. ამასთანავე სამხედრო უწყებაში საშინელი სენი გავრცელდა—ფულის გაფლანგვა. იტაცებენ და ფლანგავენ ასი ათასობით.. და ამ სენს ბოლო არ უჩანს. ერთის სიტყვით, საითაც არ მიიხედავთ, ჯარის მოუვლელობის შედეგებს წააწყდებით. მართალია ბევრს პატიოსან ქართველ ოფიცერს და ჯარისკაცს გული სტკივა, წელებზე ფეხს იდგამენ, რომ ჯარის საქმე თავის დონეზე დააყენონ, მაგრამ ვერას ხდებიან.

ჩვენი სამხედრო საქმიანობა იმ გაბზარულ ქვევრსა მიაგავს, რომელშიაც რაც უნდა ბევრი ღვინო ჩაასხა, მაინც ცარიელი რჩება.

საქართველოს მუდმივი ჯარის ორგანიზაცია საგრძნობლად გაბზარულია, რადგანაც მუდმივი ჯარის დაწესებულებას დღევანდელი სოციალისტური მთავრობა არ ენდობა.

„მუდმივი ჯარი ისეთი დაწესებულებაა რომ მას ყოველ წუთში შეუძლია თავისუფლების დამარხვა. მუდმივი ჯარი სრულებით არ ეგუება დემოკრატიულ რესპუბლიკას და როგორც კი ომი გათავდება და საერთაშორისო ნეიტრალიტეტს მოვიპოვებთ, ჩვენ გადავალთ სახალხო მილიციის წესზედო“.

აი შეხედულება ჩვენი მთავრობისა იმ მთავარ სახელმწიფო ორგანიზაციაზე, რომელზედაც ქართველი ერი ყველა თავის დიდ იმედებს ამყარებს.

და რაღა გასაკვირველია ის უმწეო მდგომარეობაც რომელსაც ასე მწვავედ განიცდის დღევანდელი ქართულ ჯარის ორგანიზაციის საქმე.

და არც გვიკვირს, რომ დღემდის ამ საქმეში წესის და რიგის დამკვიდრების მაგიერ ყველაფერი აგვემღვრა.

ამღვრეული წყლის სათავე მთელს მდინარეს ამღვრევს.

დ. ვ ჩნაძე.

# „საქართველოს განთავისუფლების კომიტეტი“.

(მოგონება).

## I. შესავალი

„ჩვენ ვიცნობთ საქართველოს იმ ქართველი პატრიოტების მუშაობის წყალობით, რომელნიც «საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის» გარშემო იკრიბებოდენ დიდიდამ ომის დაწყებისა. მათმა მოხსენებებმა, მათ მიერ გამოცემულმა წიგნებმა და ბროშურებმა გაგვაცნეს საქართველოს წარსული, აწმყო და მომავლისადმი მისწრაფებანი. მათმა თავგანწირულმა პატრიოტულმა მუშაობამ, როგორც იქ, ჩვენში, ისე აქ საქართველოში ცხად აყვეს ჩვენთვის ქართველი ერის პოლიტიკური ლტოლვილებანი“.

ამ სიტყვებით გერმანიის საიმპერატორო მისიის თავმა გენ-ფონ-კრესმა გასცა პასუხი ჩვენი მთავრობის თავმჯდომარეს ნოე ჟორდანიას პირველ ნადიმზე ახალ კლუბში ბ-მა ნოემ კი ინება ბრძანება შემდეგისა: „რომ ჩვენ (ქართველები) ერთგულნი ვიყავით რუსეთის და თუ შევიწყნარეთ ჩამოშორება, მიტომ რომ მიგვატოვესო“.

ასეთი გახლდათ პირველი შეხვედრა და პირველი განცხადებანი ჩვენი და გერმანიის წარმომადგენელთა! საიმპერატორო მისიის თავს და იმ მთავრობას, რომლის სახელითაც გენერალი ლაპარაკობდა, სცნობიათ ისეთი ჯურის ქართველები, რომელნიც ბ-ნ ნოე ჟორდანიასავით არ უყურებდენ ქართველი ხალხის „რაინდულ ერთგულებას რუსეთისადმი“.

მეტიც, სწორედ ამ ჯურის ქართველების მოღვაწეობას „ცხად უყვია მათთვის ქართველი ერის პოლიტიკური მისწრაფებანი“.

ასეთი განცხადება ბ. ნოეს სიტყვების შემდეგ ცოტა არ იყოს პატარა ჭკუის მასწავლებელ უხერხულობას ჰქმნიდა. იქ დამსწრე ჩვენმა საზოგადოებამ ეს უეჭველად იგრძნო, მაგრამ უმრავლესობამ ეს უხერხულობა ძალიან მოხერხებულად აღსნა. ნოეს იმის თქმა თურმე უნდოდა, რომ ჩვენ რაინდნი ვართ მიცემული სიტყვისა და თუ ერთხელ მივეცით სიტყა ვისმეს-სამარემდის შევრჩებით ჩვენ პირს ყოველივე პირობების ვარეშე მეორე მხიდან. ისტორიული ტრადიციისა, უფლებებისა და თვისებების უარის მყოფი ბ-ნი ნოე ამ შემთხვევაში თურმე ჩაებღაუჭა ამ ჩვენ ისტორიულს თვისებას რათა იმ დღეს აღებული აღთქმა გერმანელების წინაშე განემტკიცებინა „მაგარი საბუთით“ იმიტომ ბევრს, ძალიან ბევრს მოეწონა ბ. ნოესაგან მოულოდნელი ასეთი ქარაგმა. გემოვნება, მოგეხსენებათ, ისეთი საქმეა, რომ მისთვის არავინ დაიძრახება და ჩვენც არავის დაძრახვა არ გვინდა. ვშიშობთ მხოლოდ, რომ ასეთი განცხადებანი ევროპიულ პოლიტიკის სკოლაში აღზდილ ხალხზე, რომელთაც კარგათ იციან ერთა მოძრაობათა ისტორია და მეოცე საუკუნის პოლიტიკის მთავარი მოტივები, რომ ასეთ ხალხზე ასეთი განცხადება სტოვებდა ჩითაბეჭდილებას თუ არა სერვანტს ის გმირისას, იმ შინა ყმებისას მაინც, რომელთაც ბატონყმობის გადავარდნის შემდეგაც ბატონებთან არჩიეს ყოფნა, სანამ იძულებით არ გადევნეს სახლიდამ. ერთი სიტყვით გენერალს სცოდნია, რომ საქართველოში იყო ხალხი, რომელიც არ აპირობდა სამარეში რუსეთს ჩაჰყოლოდა, რომელთათვისაც რუსეთის ერთგულობა, სამშობლოს ღალატი იყო და რომელთა აზრით სამშობლოს ბედნიერება და მომავალი მხოლოდ რუსეთის ნანგრევებზე აშენდებოდა.

მართლა, იყო ასეთი ხალხი! მათი კეთილად მოხსენება ერთხელ ბ-ნმა აკაკი ჩხენკელმაც ინება ეროვნულ საბჭოს ყრილობაზედ ტრაპიზონის მწარე გაკვეთილების შემდეგ.

ამ ხალხის თავისი კომიტეტი პრავდა იქ ბერლინში და მისი განყოფილება აქ საქართველოში, ამ ხალხის თვალში რუსეთი და საქართველო ერთათ ვერ თავსდებოდენ და ქართველი კაცის წინაშე საკითხი ამნაირად ისმებოდა—ან სამსახური რუსეთს და ღალატი საქართველოს ან არა და ღალატი რუსეთს და განწირვა მშობელი ერისათვის.

ამ ხალხმა სამშობლოს სამსახური არჩია ყველაფერს და აქეთკენ წაიღო სამსხვერპლოთ თავისი რწმენა, სიყვარული, ძალა და მაჯა. ამ სტრიქონების დამწერს ჰქონდა დიდი ბედნიერება მათ შორის ყოფილიყო და აქვს ან პატარა სურვილი ცოტა რამ (რის თქმაც კი დღეს შეიძლება) ჩვენ მკითხველსაც მოუთხროს.

(გაგრძელება იქნება).

შ. ქარუმიძე.

# ქართული პრესა.

## გ. ჟურულის ფინანსიური პოლიტიკა.

300 მილიონის ბონების დაბეჭდვის გამო სომხეთთან დადებულ ხელშეკრულებაზე, რომლითაც საქართველომ გ. ჟურულის პირობით, 80 მილიონის ბონი გარეთ გასცა, ახალი ქართული ჟურნალის „საქართველოს ეკონომისტის“ რედაქტორი, ბ-ნი დ. თოფურიძე სწერს.

„ჩვენი მეზობლების მიერ წამოყენებული პირობები კომისიამ მეტად მძიმე და აუტანელ პირობებად მიიჩნია; და აი რათ: ამიერ-კავკასიის რესპუბლიკიდან ჩამოშორებული ეროვნებანი—სომხები და აზერბეიჯანელები—საქართველოსთან შედარებით სულ მთლად სხვა პოლიტიკურს და ეკონომიურ პირობებში იმყოფებიან.

საკუთარის ქონებრივი და უფლებრივი მდგომარეობითაც საქართველოს რესპუბლიკა გაცილებით უფრო მტკიცე საფუძველზედ სდგას, ვიდრე სომხეთი და აზერბეიჯანი. ამიტომ ამ უკანასკნელთა განცხადებას, რომ იგინი ვითომც-და მეტ-ნაკლებ საქართველოსთან თანაბრად ერთად გაიზიარონ ყოველივე მოსალოდნელ შედეგების პასუხის მგებლობა კავკასიის ფრონტის ლიკვიდაციის საქმეში—არა აქვს სარწმუნო და საიმედო საფუძველი.

საქართველოსათვის, სასომხეთოსთვის და აზერბეიჯანისათვის საერთო ბონების გამოცემა გულისხმობს მათ რაოდენობის გადიდებას. ბონების სიმრავლე კი ამცირებს მათ ღირებულობის საფასურს. ე. ი. ძირს სწევს ფულის მაზანდას. გარდა ამისა—სომხები და აზერბეიჯანელები მათ შორის დატრიალებულის ომის შინ და გარეთ (და განსაკუთრებით-კი საქართველოს საზღვრებში) ჟლეტენ და იძენენ აუარებელ ქონებას; ფაქტიური სასუხისმგებლობა კი ამ გამოცემულ ბონებისა ისევე საქართველოს აწვება.

ასე რომ—საერთო ბონების გამოცემით ჩვენ მეზობლებს ვაძლევთ ერთგვარ თამასუქებს, რითაც იგინი დღეს იძენენ საქონელს და ამ თამასუქების გამართლება კი ბოლოს და ბოლოს ისევე ჩვენ მოგვიხდება.

ამგვარია საქმის არსებითი ვითარება.

მაგრამ, თუ ბანკების მოთხოვნილებების გამოისობით, კომისარიატისეულ ბონების გამოცემა მხოლოდ იმ პირობით შეგვეძლებოდა, რომ ახლად გამოცემული ბონები გაგვენაწილებინა აგრეთვე ჩვენ მეზობლებისთვისაც: და, თუ უბონებოთ, მართლაც და, ჩვენს გაჭირვებულ ამ უკიდურეს შემთხვევაში, კომისია, ითვალისწინებდა რა ამ გარემოებებს ურჩევდა სამინისტროს ამგვარის წესით კომისარიატისეულ ქონების გამოცემაზე დათანხმებას.

მაგრამ ამ რჩევასთან, კომისია, რასაკვირველია, გრძნობდა, რომ სახელმწიფო—ამ შემთხვევაში—მოქმედობს კერძო მეწარმოებელისავით, რომელიც, საკუთარ წარმოების შესანარჩუნებლად და გაკოტრების ასაცილებლად, რომ მოიპოვოს 100 ათასი მანეთი, იძლევა ორასიათას მანეთის თამასუქებს.

სწორედ ამგვარად—თუ სხვა გამოსავალი არ იქნა, ჩვენც უნდა გამოვუშვათ და გავანაწილოთ სამასი მილიონის ბონები, რომ ამ სამას მილიონ მანეთის ბონებიდან ასი მილიონი ბონები ჩვენს განკარგულებაში დავიტოვოთ! შემდგომ კი ყველა ამ სამას მილიონ მანეთის ბონების გამართლება რასაკვირველია ჩვენ მოგვიხდება.

ამტომ ფინანსთა მინისტრის შეკითხვაზე, საფინანსო და საბიუჯეტო კომისიამ განაცხადა, რომ იგი თანახმაა სომხების მიერ წარმოდგენილ პირობებით ბონების გამოცემაზე (200 მილიონიდან, 80 მილიონის ბონების სასომხეთოსთვის უნდა გადაეცათ და 40 მილიონი-კი მოეხმარათ ფრონტის სალიკვიდაციო ხარჯებზე) მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში: პირველი—თუ ბანკები უარს იტყვიან მხოლოდ ჩვენ მიერ გამოცემულ კომისარ. ბონებს, და მეორე—თუ ზოგიერთ სახელმწიფო ქონებათა ლიკვიდაციის საშვალებითაც-კი შეუძლებელი იქნება ბონების გამოცემის ვადის გადადება. მაგრამ—თუ კი ბანკები დათანხმდებოდენ ჩვენ მიერ გამოცემულ კომის. ბონების მიღებაზე—იმისდა მიუხედავათ—მიიღებენ თუ არა მონაწილეობას ამ ბონების გამოცემაში სასომხეთო და აზერბეიჯანი, ან და, თუ შესაძლო იქნება რამოდენიმე ათეულ მილიონ მანეთის მოხვეჭა სახელმწიფო ზოგიერთ ქონებათა სასწრაფო ლიკვიდაციით მაინც, ამ შემთხვევაში კომისია ურჩევდა სამინისტროს, სომხეთის მიერ წამოყენებულ პირობების უარყოფას. კომისიის ამ გადაწყვეტილების შემდგომ თბილისის ბანკებმა, სახელმწიფო ბანკის თანხმობითა და მონაწილეობით, გადაწყვიტეს ჩვენ მიერ გამოცემულ კომისარ. ბონების მიღება, იმ შემთხვევაშიაც-კი თუ სასომხეთო და აზერბეიჯანი არ მიიღებს მონაწილეობას ამ ბონების გამოცემაში.

ამის შემდგომ საფინანსო და საბიუჯეტო კომისიამ და აგრეთვე—განსაკუთრებულმა კომისიამაც, რომელიც შესდგებოდა სხვა და სხვა ფრაქციათა წარმომადგენლებისაგან, გაუზიარა თავისი კატეგორიული შეხედულობა იმის შესახებ, რომ სომხეთის მიერ წამოყენებული პირობები უარყოფილი უნდა იქმნენ.

მაგრამ, როგორც კომისიის რჩევით, აგრეთვე ბანკების ზემო აღნიშნული დადგენილებითაც სამინისტრომ არ იხელმძღვანელა და ხელი მოაწერა იმ პირობებზე, რომლის ძალითაც სომხებმა 80 მილიონი მანეთის ბონები მიიღეს. ეს ფაქტი მთლად მოულოდნელი იყო კომისიისათვის. ამითი, რასაკვირველია, საფინანსო სამინისტროს ხელმძღვანელებმა საპასუხისმგებლო ნაბიჯი გადასდგეს, რ ა მ ა ც საქართველოს რამოდენიმე ათეულ მილიონის სიმდიდრე მოაკლო. ამგვარია—პირველი სამწუხარო შეცდომა ჩვენი ფინანსიური მეურნეობის ხელმძღვანელებისა.

გაორკეცებულის რაოდენობით (საქართველოს არ დასჭირდებოდა ამდენი ახალი

ბონები) ახალ ბონების გამოცემამ გამოიღო თავისი აუცილებელი შედეგები: ფულის მაზანდა დაეცა და საქონლის ფასმა-კი უფრო მეტად აიწია.

ამგვარათ, ერთის მხრივ—ჩვენი ფულის მაზანდა ეცემა საერთო ფინანსიური პოლიტიკის რყევით, მეორეს მხრივ—არც იმის იმედი მოსჩანს, რომ გითომც და ჩვენი სავაჭრო-სამრეწველო სამინისტროს მიერ შემუშავებული იქნება რაიმე მოფიქრებული გეგმა ჩვენი მხარის მეურნეობის გასაუმჯობესებლად, ურომლისოდაც, რასაკვირველია, შეუძლებელია მტიცე ფინანსიური სისტემის შემოღება, რომელიც უნდა ემყარებოდეს სახელმწიფოს ნორმალურ შემოსავლიანობაზე და ურომლისოდაც შეუძლებელი იქნება საქართველოს დღევანდელ აუცილებელ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება.

ჩვენ მიერ გამოსაცემი ბონები მხოლოდ ორ-სამ თვეს გვეყოფა, თუ—რასაკვირველია ცხოვრების სიძვირემ უფრო არ იმატა.

საჭიროა ახლავე რაიმე საშუალებათა ქმნა და აღმოჩენა, რომ შესაძლო იყოს მოსალოდნელი ფინანსიური კატასტროფის თავიდან აცილება.

ჩვენი საფინანსო და სავაჭრო-სამრეწველო შეერთებული სამინისტროები-კი, ამ კრიტიკულსა და განსაცდელ ხანაში, საუბედუროთ, ვერ იჩენენ სათანადო გამჭრიახობას, აქტიურ შემოქმედებით უნარს და საკმაო ნიჭს იმ დამოკიდებულობისა და მჭიდრო კავშირის შესაგნებლად, რომელიც არსებობს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისა და ფინანსიურ შესაძლებლობათა შორის".

ნაციონალ-დემოკრატიული ფრაქცია თავის დროზე დიდი წინააღმდეგი იყო სამხედროსათვის 80 მილიონის მირთმევის, მაგრამ სამინისტრო პორტფელისათვის პარტიიდან დეზერტირის—გ. ჟურულის და მისი მოკავშირე ირ. წერეთლის ფინანსიურმა პოლიტიკამ გაიყოლია ეროვნული საბჭო. ახლა კი თვით სოც.-დემოკრატებმა უნდა აღიარონ, რომ სოფლურ მუნიციპალიტეტის ბუხგალტერობიდან და დამოუკიდებელ საქართველოს ფინანსთა მინისტრობის შუა დიდი საზღვარი სძევს.

## გერმანული პრესა.

### გერმანიის ეკონომიური როლი საქართველოში.

თბილისის გერმანულ გაზეთ „Kavkasische Post."-ის № 53-ში მოთავსებულია მოწინავე წერილი ამ სათაურით: „საქართველოს დიდი სამეურნეო მომავალი", რომელშიაც აწერილია ბაასი გაზეთის მთავარი რედაქტორისა დოქ. ფ. ვესტერნჰაგენთან. ეს უკანასკნელი ჩამოსულია ჩვენში, როგორც წარმომადგენელი იმ საზოგადოებისა, რომელსაც აქვს მიზნად დასახული ავსტრო-უნგრეთსა და გერმანიას შორის სხვა და სხვა ზეთის გაცვლა-გამოცვლის საქმის მოწესრიგება. ომის წინ დოქ. ფ. ვესტერნჰაგენი მუშაობდა ამ დარგში პარიზში და ლონდონში; როდესაც ომი დაიწყო მას ნიუ-იორკში მოუხდა ცხოვრება; ეხლა კი საქართველოს ეწვია. დოქ. ფ. ვესტერნჰაგენი დიდ ავტორიტეტად არის აღიარებული საზოგადოდ სამეურნეო საკითხის სფეროში, რის გამო ჩვენც მოგვყავს მისი სიტყვებიდან ის ადგილი, რომელიც საქართველოს შეეხება.

«თქვენ გეკითხებით მე, უთქვამს დოქ. ფ. ვესტერნჰაგენს „კავკასიშე პოსტ"-ის მთავარ რედაქტორისათვის, „რა შეხედულობისა ვარ გერმანიასა და საქართველოს შორის მომავალ სამეურნეო დამოკიდებულების შესახებ; ამ კითხვაზე გიპასუხებთ, რომ ჩვენ მოველით ამ ქვეყანაში არა იმისთვის, რომ ამოვკრიბოთ მისი სიმდიდრე და მერე ღვთის ანაბარად დავტოვოთ, როგორც ამას ფიქრობენ ჩვენი მტრების ბანაკში, არამედ ჩვენ გვაქვს განზრახვა, ჩაუყაროთ საფუძველი მშვიდობიან მუშაობას, რომელსაც ჩვენს ქვეყნებისათვის დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლიან. ეს ქვეყანა იმ ზომამდე მდიდარია როგორც მიწის ნაყოფიერებით, ისე სხვა და სხვა დასამუშავებელი მასალით, რომ სრულიათ უზრუნველჰყოფს ხალხის ყოველ წრის კეთილცხოვრებას. საქართველოს ბრწყინვალე ბედი მოელის".

ჩვენ ხაზ გასმით აღვნიშნავთ ამ პროგრამას და ჩვენი სურვილი მხოლოდ ის არის, რომ გერმანიისა და ავსტრიის წარმომადგენელნი უყოყმანოთ განაგრძობდნენ გერმანიის მოკავშირე, ჯარითა და ეკონომიკით ძლიერი საქართველოს სახელმწიფოს ორგანიზაციის ხელის შეწყობას. ინტრიგებსა და კომბინაციებს, რომელსაც ასე მოხერხებულად აწყობენ ჩვენი ძველი მეზობლები საქართველო—გერმანიის კავშირის ჩასაშლელად, უნდა ბოლო მოეღოს და ყველა არა მკითხე აგენტებს, საქართველოს სახელს რომ უტეხენ და ჩვენსა და გერმანელებსა შორის საქმიან შუამავლებად რომ ეკვეხებიან, უნდა თავისი ტრადიციული ალაგი მოენახოს.

# ქრონიკა

## უცხოეთი.

✦ სამეფო ტახტი ლიტვაში. ლიტვის „ლანდესრატის" (ეროვნულ საბჭოს) ნაწილმა პოლონეთის მიბაძვით გამოაცხადა თავისი თავი ლიტვის სახელმწიფო საბჭოთ და გერმანიის დაუკითხავათ ლიტვის ტახტზე ჰერცოგი ურახი აირჩია.

✦ დონის მიწის მესაკუთრენი. დონის როსტოვში გაიხსნა მიწის მესაკუთრეთა კრება ლოზნოვის თავმჯდომარეობით. მიღებულია რეზოლუცია მიწის ჩამორთმევის წინააღმდეგ. პრინციპი კერძო საკუთრებისა ხელშეუხებელია. მიწა უნდა გადაეცეს მსურველთ სახელმწიფო საადგილმამულო მიწის ფონდიდან.

✦ უკრაინის „ხლებორობები" გერმანიაში. გერმანიის მთავრობამ მიიწვია უკრაინიდამ მსხვილი და საშუალო მიწათმფლობელნი გერმანიაში სოფლის მეურნეობის გასაცნობათ.

## ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების დამატება.

ოფიციალურ გერმანულ „Norddeutsche Allgemeine Zeitung"-ში გამოქვეყნებულია ცნობა ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულობის დამატებითი მუხლების შესახებ.

პირველი მუხლი. ეხება უმთავრესად რუსეთის ყოფილ განაპირა ქვეყნებში ახლად დაარსებულ სახელმწიფოებს.

ესტლიანდია და ლიფლიანდია უერთდება კურლიანდიას, მაგრამ ამასთანავე რუსეთის სახალხო მეურნეობას კავშირი აქვს ბალტიის ზღვასთან სავაჭრო გზები უზრუნველყოფით და თავისუფალი ნავთსადგურების შექმნით.

საქართველოს რესპუბლიკა, რომელიც აკმაყოფილებს ეროვნული თვით გამორკვევის პრინციპს, გამოქვეყნებულს საბჭოთა მთავრობის მიერ, აღიარებულია დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. კავკასიის სხვა სახელმწიფოთა და აგრეთვე ყირიმის შესახებ გაზეთში არაფერია ნათქვამი.

რადგანაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ბაქოს, როგორც ნავთის სამრეწველო ცენტრს და საჭიროა მისი შენახვა და გადარჩენა, ორივე მხარე არ ცნობს შესაძლებლად, რომ ეს ნაწილი კავკასიისა რუსეთს ჩამოშორდეს. საბჭოთა მთავრობა სიტყვას იძლევა დაუთმოს ნაწილი ნავთისა გერმანიას და მის მოკავშირე სახელმწიფოებს. სამხედრო მდგომარეობის განხილვის დროს, რომელიც შეიქმნა, როგორც გაზეთი ამბობს, იმის გამო, რომ ზოგიერთი განაპირა ქვეყნები იხმარებენ გერმანიის ჯარებს თავის სახელმწიფოებრიობის დასამყარებლად და შინაური ანარქიის ჩასაქრობად, და იმ კონფლიქტების განხილვის დროს, რომელიც ხდებოდა ზოგჯერ ჯარების მიერ საბჭოთა მთავრობის ბრძანების უარყოფით და არ შეუსრულებლობით მოხდა შეთანხმება ამ კონფლიქტების შესახებ და რუსეთი უზრუნველყოფილ იქნა საზავო ხელშეკრულობის სამხედრო პირობათა საკმაოდ შესუსტებით. რაც შეეხება გერმანიის მიერ გაკავებულ ოლქებს უკრაინის აღმოსავლეთით, აქ ყოველგვარი საქმეობა ველიკორუსიის ეროვნებისა ადგილობრივ ნაწარმოებებში გახდება საგნად ცალკე ადგილობრივ შეთანხმებისა.

მეორე მუხლი აწესრიგებს გერმანეთ-რუსეთის ფინანსიურ ურთიერთობას და ბანკის ღირებულებათა გაცვლა-გამოცვლას. რუსეთი მოვალედ სთვლის თავს გადაუხადოს გერმანიას 6 მილიარდი მარკა ზარალის ასანაზღაურებლად, 1 მილიარდი მარკა აქედან ერგება უკრაინასა და ფინლიანდიას. კითხვა წარმოებების და უძრავ ქონებათა სოციალიზაციის შესახებ გადაიჭრა ისე, რომ გერმანიის ქვეშევრდომთ აუნაზღაურდებათ ყველა ის ზარალი, რომელიც მათ ამით მოუვათ, მხოლოდ უარყოფილ იქნა შესაძლებლობა გერმანიის სასარგებლოდ კანონების შეცვლისა.

აღიარებულ იქნა ნაციონალიზაცია კაპიტალების იმ პირობით, რომ დამოკიდებულება როგორც უცხოელების, ისე რუსების მიმართ ერთნაირი იყოს. მხოლოდ გერმანიის ქვეშევრდომთ ეძლევათ უფლება ზარალის ანაზღაურებისა, თუ ყოველ კერძო შემთხვევებში ეს უფლებანი დადასტურებულ იქნა უპარტიო ინსტანციის მიერ. უარყოფილ იქნა განსაზღვრა ბანკის კაპიტალებით სარგებლობაში იმ პირობით, თუ დამტკიცდა ის ფაქტი, რომ ამა და იმ გერმანულმა წარმოებამ თავისი მოქმედება დაიწყო 1918 წლის 1 ივლისამდე. ბოლოს, მემკვიდრეობის უფლების გარკვევის დროს ორივე მხარემ გადასწყვიტა ძალაში დარჩეს 1874 წელში დადებული რუსეთ-გერმანიის დამატებითი კონვენცია.

მესამე მუხლი, რომელიც აწესრიგებს კერძო უფლებრივ სამოქალაქო ურთიერთობას, ეხება ჩეკებისა და ვექსილების საკითხს, ვალიუტის ოპერაციებს, სამრეწველო დაცვას და გაცემათა ვადას. გერმანელთ და რუსთა შორის კერძო-უფლებრივ საკითხების გასარჩევად არსდება ორი საერთაშორისო სასამართლო მოსკოვსა და ბერლინში, სადაც შევლენ თავმჯდომარედ გერმანელი, ერთი რუსი და ერთიც გერმანელი მოსამართლე. ამ სასამართლოების დადგენილებებს ექნებათ საბოლოო ხასიათი.

## საქართველო

✦ საქართველოს დამოუკიდებლობა. ბრესტ-ლიტოვსკის დამატებითი ხელშეკრულობის გერმანულ-რუსულ ტექსტში საქართველოს დამოუკიდებლობაზე რუსულად ასეა ნათქვამი: „Россія согласна на то, что Германія признаетъ (გერმანულად anerkennt) Грузію самостоятельнымъ государственнымъ организмомъ".

✦ სტამბოლის კონფერენციის ქართველი დელეგატები დაიშალნენ. დელეგატი ბ. რცხილაძე და დრაგომანი ვ. ლამბაშიძე საქართველოსაკენ გამოემგზავრა. გ. გვაზავა კი კონსტანტინეპოლში დარჩა.

✦ ოსმალთა ჯარებმა დაიწყეს გავლა ბათომ თბილისის რკინის გზით ბაქოსკენ.

✦ ბაქოს აღება. ნოე ჟორდანიამ ტელეფონით მოულოცა აზერბეიჯანის ელჩს, ხამედ იუსუფ ჯაფაროვს.

✦ ბაქოელთა ჯგუფი, მათ შორის ა. ხოშტარია, ი. ანდრონიკაშვილი, ნ. [illegible]სელიანი, ლ. მამულაშვილი, ნ. ჯუღელი, ინჟ. ი. დადიანი და სხვანი მიემგზავრნენ ბაქოს ნავთის საქმეების გამო.

✦ სამუსულმანო საქართველოს განმათავისუფლებელმა კომიტეტმა მოლაპარაკება გამართა გერმანიასთან და მის მოკავშირე სახელმწიფოებთან, რომლებიც შეპირდნენ ბრესტლიტოვსკის პირობის შესრულებას ბათომის ოლქში.

✦ ეკლესიის გასაჭირი. შინაგან საქმეთა მინისტრმა დაუგზავნა საყოველთაოდ გუბერნიის და ოლქის კომისრებს შემდეგი მიწერილობა: „როგორც საქართველოს საკათალიკოსო საბჭომ აცნობა კანცელარიას, ზოგიერთ სოფლებში ადგილობრივი მცხოვრებნი იტაცებენ ეკლესია-მონასტრების ქონებას, სჭრიან ტყეს, ართმევენ სახნავ მიწებს, შემოსავალს, სამეურნეო იარაღს და სხვას, რის გამო ეკლესია განიცდის დიდ გასაჭირს. ამისდა მიხედვით და თანახმად შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებისა, კანცელარია გთხოვთ მოახდინოთ სათანადო განკარგულება, რათა დაუყონებლივ იქნას მიღებული ზომები ამ უკანონო მოქმედების წინააღმდეგ".

✦ + მწერალი „ლალიონი" გარდაიცვალა ბელეტრისტი და ერ. საბჭოს წევრი მამულაიშვილი. (ლალიონი) დაკრძალვა მოხდება 22 სექტემბერს.

✦ მამულის დაცვა. შინაგან საქმეთა სამინისტრომ მისწერა დუშეთის სამიწათმოქმედო გამგეობას, მიიღოს შესაფერისი ზომები გ. ე. მუხრანსკის მამულის დასაცავად.

✦ პურის შემოტანას დაპირებული იყო ფირმა „კომერსანტი" (ვოლგა-კამის ბანკის დირექტორის მაზმანოვისაა). ეხლა საქართველოს მთავრობასთან არსებული „კომიტეტი საქონლის გაცვლისა" იტყობინება, რომ „კომერსანტს" ჯერ ერთი გირვანქა პურიც არ შემოუტანია გაზიდვით კი ბ-ნ მაზმანოვს და მის კომპანიონებს აუარებელი საქონელი გაუტანიათ უცხოეთში ვითომც პურში გასაცვლელად.

✦ რკინის გზის კასის რევიზია. შეუდგენ რკინისგზის მთავარ კასის რევიზიას. რევიზიას აწარმოებს სახელმწიფო კონტროლიორი.

✦ ოფიცერთა ჯამაგირი. მთავრობამ მოიწონა სამხედრო მინისტრის კანონპროექტი აფიცერთა ჯამაგირების შესახებ. კანონ პროექტით ათასის თავს (ბათალიონის უფროსს) უნდა მიეცეს 600 მან. ძირითადი ჯამაგირი და 250 მ. დროებითი დამატება. გუნდის თავს (როტის უფროსს) 500 მ. ძირითადი ჯამაგირი, 225 მან. დროებითი გამატება. ასის თავს (უფროს აფიცერს) 350 მ. ძირ. ჯამაგირი 225 მან. დრ. დამატება; მწყობრის თავს (უმცროსს აფიცერს) ძირ. ჯამაგირი 275 მ. და მომატება 225 მ. რაც შეეხება დივიზიის უფროსის, ბრიგადის უფროსის, რაზმის თავის და მის მოადგილის ჯამაგირებს, მთავრობამ ეს საკითხი გასარჩევათ გადასცა საფინანსო კომისიას.

✦ 26 მილიონი გვარდიას. სახალხო გვარდიის ხარჯთ-აღრიცხვა მომავალ წლისა უდრის 26 მილ. მანეთს.

✦ გერმანელი ჯარები ქუთაისში. ქუთაისში ჩავიდა გერმანელების ახალი ჯარები.

✦ „კავსოგორის" მოსპობა. საქართველოს სახელმწიფოს უკანასკნელი თავშესაფარი „ამიერ-კავკასიის ქალაქთა კავშირი", რომლის ლიკვიდაციის დაგვიანებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ინტერნაციონალურ ლორდ-მერს ნიკო ელიავას, დაიშალა დასავლეთ საქართველოს ქალაქთა მოთხოვნის გამო.

✦ საქართველოს ქალაქთა კავშირი. „კავსოგორის" დაშლის შემდეგ ქალაქთა ყრილობამ დაარსა საქართველოს ქალაქთა კავშირი. გამგეობაში მარტო სოციალისტური პარტიების წარმომადგენელნი არიან არჩეული.

✦ „ტრუდოვოე ზნამია" გაზეთი რუსის სოციალისტ-რევოლიუციონერთა დაკეტეს მთავრობის ბრძანებით.

✦ ტელეგრამის გამყიდველთა. სენსაციური კივილი, რომელზედაც ჩვენი გაზეთი სწერდა ამას წინ უკვე აღიკრძალა მილიციის უფროსის, ბ-ნ ურუშაძის მიერ.

## ჩვენი პარტია

მთავარი კომიტეტის პრეზიდიუმი.

დამოუკიდებელ ნაციონალ-დემოკრატიულ პარტიის მთავარ კომიტეტის თავმჯდომარედ არჩეულია: ვეშაპელი გრიგოლ, თავმჯდომარის ამხანაგად: წერეთელი ვასილი და ქარუმიძე შალვა. მდივნათ: ჯავახიშვილი დიმიტრი.

საპარლამენტო ფრაქციის პრეზიდიუმი.

დამოუკიდებელ ნაციონალ-დემოკრატიულ საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარედ არჩეულია: ვეშაპელი გრიგოლ, თავმჯდომარის ამხანაგად ვაჩნაძე დავითი, მდივნათ: გაბაშვილი რევაზ.

# ფელეტონი

## სოციალისტური რესპუბლიკა

გერმანიის რაიხსტაგის წევრის ევგენი რიხტერის წიგნიდან.

თავი II.

### სოციალისტური კანონები.

სასაცილო ამბავია ის, რომ ბურჟუები ათასობით მიეშურებიან საზღვარ გარეთისაკენ გადასასახლებლად. საით უნდა გაემგზავრნენ? მთელს ევროპაში, გარდა შვეიცარიისა და ინგლისისა, ამჟამად სოციალ-დემოკრატია ბატონობს. ამერიკისაკენ მიმავალი გემები ემიგრანტთა [illegible] ველარ ასდიან. ამერიკაში, მართალია, რევოლიუცია ძლეულია და სოციალ-დემოკრატია დიდხანს ველარ შესძლებს წელში გასწორებას. ექსპლოატატორებმა თავიანთ ქონებიდან ბევრის წაღება თან ვერ მოახერხეს მოულოდნელ რევოლიუციის გამო. ყველა სახელმწიფო ქაღალდები, გირავნობის ფურცლები, აქციები ობლიგაციები და ბანკნოტები გაუქმებულად გამოცხადდა. ბატონ ბურჟუებს შეუძლიანთ თავიანთ კაიუტების კედლებზე ააკრან ეს ქაღალდები. მთელ უძრავ ქონებას, მიმოსვლის საშუალებას, მანქანებს, ხელსაწყოებს და ავეჯს კონფისკაცია უყვეს სოციალისტურ სახელმწიფოს სასარგებლოდ.

„მთავრობის მოამბის" ადგილი ჩვენი ყოფილ პარტიის ხელმძღვანელმა გაზეთმა დაიჭირა. ეს გაზეთი მუქთათ ეგდება ყველა სახლებში. რადგანაც ყველა სტამბები სახელმწიფოს საკუთრებად გარდაიქცა, სხვა გაზეთების გამოსვლა შეჩერებულია. პროვინციაში პარტიის გაზეთი ადგილობრივ ფურცლის დამატებით ვრცელდება. ახალ რეიხსტაგის მოწვევამდე ძველი რეიხსტაგის სოციალ-დემოკრატი დეპუტატები შეადგენენ კომისიას კანონთა გამოსაცემათ და ახალ წესების შემოსაღებად.

წინანდელი პროგრამა ჩვენის პარტიისა, ერფურტის ყრილობაზე შემუშავებული 1891 წელს, გამოცხადებულია რესპუბლიკის დროებით ძირითად კანონებად. ამგვარად აღსრულდა კანონიერი გადასვლა ყველა საწარმოო საშუალებათა, მიწისა, სამთო ქარხნებისა, მადნებისა, მანქანებისა და მიმოსვლის საშუალებისა სახელმწიფოს საკუთრებად, ან, როგორც ეხლა ამბობენ, საზოგადოების საკუთრებად. შემდეგ კანონად გამოცხადებული იქნება შრომის საყოველთაო ბეგარა, ყველასათვის ერთნაირი, როგორც ქალისა, ისე კაცისათვის დაწყებული 21 წლიდან ვიდრე 65 წლამდე. 21 წლისაზე ნაკლები სახელმწიფოს ხარჯით იზრდებიან; 65 წლისაზე უფროსებს სახელმწიფო ინახავს. კერძო წარმოება შეჩერდა. თუმცა ვიდრე ახალი სოციალისტური წარმოება მოეწყობოდეს, ყველა ვალდებულია ძველ ადგილზევე იმსახუროს სახელმწიფოს ხარჯით. ვისაც კი რაიმე დარჩა ოჯახში კერძო საკუთრება—ხაბაკი, ძველი ტანისამოსი, ფული, საკრედიტო ბილეთი კონფისკაციის შემდეგ ყველა ვალდებულია ყველაფრის სია წარადგინოს. ოქროს ფული ხაზინას უნდა გადაეცეს. ახლო მომავალში განზრახულია ახალი ფულის გამოცემა.

ახალი მთავრობა მის სათავეში მდგომ მხნე თავმჯდომარის მეოხებით, ყველაფერში ენერგიულათ და მიზანშეწონილად მოქმედებს. უნდათ ძირშივე აღმოფხვრან ყველაფერი ის, რასაც კაპიტალიზმის აღდგენა შეუძლიან. მხედრობა დაშლილია, გადასახადი აღარავის მოეთხოვება რადგანაც მთავრობა ყველა საზოგადო ხარჯების დასაფარავათ სხვა და სხვა წარმოებიდან იღებს ავანსებს. ექიმებსა და ვექილებს სახელმწიფო აძლევს ჯამაგირს და ისინიც ვალდებულნი არიან მუქთად ემსახურონ საზოგადებას. სამი დღე რევოლიუციისა და გამარჯვებისა მუქედ გამოცხადდა, დიდებული ხანა გვიდგება.

თავი III.

### შენახულ ფულის კონფისკაცია.

ჩვენი რძალი აგნესა მწარედ შეწუხებულია, ფრანციც ძალიან ცხვირ ჩამოშვებულია. აგნესას ეშინიან თავის მზითევის დაკარგვისა, დიდხანს მუშაობდა სამკერვალო მაღაზიებისათვის, აგროვებდა სამზითვოს. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ფრანცი გაიცნო, მომავალ ბედნიერებით აღტაცებული, განუწყვეტლივ მუშაობდა დილიდან საღამომდე. ასე რომ ჭამის დროსაც ძლივს შოულობდა. რასაც მისი ამხანაგები ჩაცმა-დახურვასა და დროს გატარებაზე ხარჯავდნენ, აგნესა აგროვებდა და კასაში ინახავდა, რათა უფრო გადიდებულიყო მისი თანხა. ამ გვარათ ნიშნობის დღეს მას ჰქონდა შემნახველ კასის წიგნაკები 2000 მარკაზე მეტისა. ყველა ეს ჩემმა ფრანცმა კმაყოფილებითა და თავმოწონებით გვიამბო. ახალგაზრდები უკვე შეუდგნენ იმაზე ფიქრს თუ უწინარეს ყოვლისა რა უნდა შეეძინათ ამ ფულით.

და მოულოდნელათ მთელი ნაშრომი, მთელი ნაამაგდარი უნდა დაეკარგოს. როდესაც სხვა და სხვა ხმებით შეშფოთებულმა აგნესამ თავის ფულის კასიდან მოტანა მოინდომა, მას ქუჩაში შეხვდა რამდენიმე ჯგუფი აღელვებულ ხალხისა. მოხუცნი, დედაკაცები, მოსამსახურეები სტიროდნენ, რომ დაჰკარგეს თავიანთი ორიოდე გროში, შავი დღისათვის გადადებული. უამბეს თურმე, კასის მოხელემ გვითხრა, რომ ახალმა კანონმა სხვა ფასიან ქაღალდებსა და სავალდებულო გასანაღდებელ თამასუქებთან ერთად შემნახველ კასსის წიგნაკებიც გაბათილებულად გამოაცხადაო.

აგნესას კინაღამ გული თურმე წაუვიდა. შემნახველ კასის განყოფილების მოხელემ დაუდასტურა მას ეს დაუჯერებელი ამბავი. შინისკენ რომ ბრუნდებოდა, გზაზე გაიგო, რომ სასახლეში მთავრობასთან დეპუტაცია გაგზავნეს შემნახველ წიგნაკების პატრონებმა. მე მაშინვე გავსწიე იქითკენ; ფრანციც გამომყვა.

სასახლის წინ დიდძალი ხალხი იდგა ლასსალის ხიდიდან (წინანდელი იმპერატორ ვილჰელმის ხიდი) აუარებელი ხალხი მიისწრაფოდა წინ. შემნახველ კასის წიგნაკების საკითხმა ყველა შეაშფოთა. სასახლისაკენ მიმავალი გზის ალაყაფის კარები ყველგან დაკეტილი იყო. წინა წყებაში მყოფნი ამაოდ ცდილობდნენ სასახლეში შესვლას. მოულოდნელად ჰისკრის ჰუჰრუტანებიდან, რაც წინად არას დროს არ შემიმჩნევია. თოფის ტუჩებს გამოაყოფინეს თავი სასახლის მსახურებმა.

ვინ იცის რა მოხდებოდა, იმ წამში რომ მთავრობის თავმჯდომარე არ გამოსულიყო შუა სართულის აივანზე და სიჩუმე არ მოეთხოვნა. მან ხმა მაღლა გამოაცხადა, რომ შემნახველ კასსების საკითხი ეხლავე გადაეცემა გადასაწყვეტად საკანონმდებლო კომისიას. ყველა კეთილი პატრიოტები და სოციალ-დემოკრატები მოვალენი არიან ენდონ მართლმსაჯულებასა და სიბრძნეს ხალხის წარმომადგენლებისასო. ხანგრძლივი ვაშა გაისმა პასუხად ამ სიტყვებისა.

ამ დროს სხვა და სხვა მხრიდან გამაგრებული მოიჭრა ცეცხლის მქრობელთა რაზმი. რადგანაც პოლიცია აღარ იყო, როცა ხალხი ჰისკრისაკენ მიექანებოდა, სასახლიდან ტელეგრაფით თურმე გამოიწვიეს ყველა ნაწილთა ცეცხლის მქრობელნი. ჩასუქებულ ცეცხლის მქრობლებს სიცილ ხარხარით შეხვდნენ. ამგვარად სრულიად დაიმედებული ხალხი დაიშალა. ღმერთმა ჰქნას, რომ პარლამენტში შესძლონ ამ საკითხის სამართლიანად გადაწყვეტა.

(შემდეგი იქნება)

## მიტროპოლიტი ქუთათელი ანტონი.

17 სექტემბერს, ღამით, ქუთაისში გულის სიგანივრით უეცრად გარდიცვალა ქუთათელი მიტროპოლიტი ანტონი (ერობაში გიორგაძე). განსვენებული არც ისე მოხუცი იყო, 65 წლისა თუ იქნებოდა. ტფილისის სასულიერო სემინარიის გათავების შემდეგ იგი დანიშნულ იქმნა გალობის მასწავლებლად ქუთაისის ქალთა სასწავლებლებში; მაგრამ ჩქარა თავი დაანება მასწავლებლობას და კიევის აკადემიაში შევიდა სწავლის გასაგრძობათ. აკადემიის დასრულების შემდეგ ბერათ აღიკვეცა და დაინიშნა ჯერ ქვათახევისა და შემდეგ დავით გარეჯის მონასტერთა გამგედ, შემდეგ დაინიშნა ალავერდის ეფისკოპოსად და ბოლოს—ეფისკოპოსად გორისა. როდესაც აღგენილ იქმნა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობა, მან ითხოვა განთავისუფლებიათ, მაგრამ იგი საეკლესიო კრებამ ერთხმად აირჩია ქუთათელ მიტროპოლიტად. განსვენებული ყველა ქართულ საქმეში, როგორც სარწმუნოებრივ, ისე საზოგადოებრივ ეროვნულში მხურვალე მონაწილეობას იღებდა.

## პასუხად რკინის გზათა უფროსს

### ინჟ. ა. კანდელაკს.

ბოდიშს ვიხდი რომ იძულებული ვარ, „საქართველოს“ შეჩერების გამო, ასე გვიან უპასუხო ბ-ნ ა. კანდელაკს, თუმცა ასეთს დაგვიანებას თავისი კარგი მხარეცა აქვს: ამ ხნის განმავლობაში მოისპო რკინის გზის რევოლიუციონური კომიტეტები და ამგვარად მე და ჩემი მოკამათენი გათანასწორებულნი ვართ საზოგადოების და სამართლის წინაშე. აქამომდე კი მათ უპირატესობა ჰქონდათ, უპირატესობა რევოლიუციონური ძალადობისა.

გაზ. „სვობოდნი პუტ“ში (№ 7) ბ-ნი ა. კანდელაკი იმეორებს ჩვეულებად გადაქცეულ „გაკვირვებას(?), თუ პარლამენტის კათედრიდან როგორ ცილსა სწამებენ ადამიანებს, რომელთა წინააღმდეგ არა აქვთ საბუთები“. და ჩვენ-კი უნდა გავიმეოროთ, რომ ჩვენს „უსაბუთო ცილისწამებას“ მოჰყვება ხოლმე გაუქმება იმ ორგანიზაციებისა, რომელსაც ჩვენ „ცილსა დავწამებთ“ ხოლმე. ორში ერთი-ან ცილის მწამებელნი არიან ნაციონალ-დემოკრატები, როგორც გაჰკივიან სოციალისტები ეროვნულ საბჭოში და მის გარეთაც, და მაშინ უფრო უნდა გამტკიცდეს ხოლმე იმათი მდგომარეობა, ვისაც ცილს დავწამებთ ხოლმე; ან ნაციონალ-დემოკრატები მართალნი არიან, რომ მთავრობა იძულებულია გააუქმოს ის ორგანიზაციები, რომლის დასაცავად იმდენი რევოლიუციონური და სოციალისტური ბრახა-ბრუხია ხოლმე ეროვნულ საბჭოში და სოციალისტურ პრესაში. დასკვნა თქვენთვის მომინდვია, ბ-ნო ინჟინერო, ეს არსებითად; და კე რძოდ თქვენი საქმე სწორედ გასაკვირველია: თაგვმა თხარა-თხარა, კატა გამოთხარაო, ნათქვამია.

პირადათ არ გიცნობთ და ამიტომ ჩემი ბრალდებანიც არ იყო პირადი ხასიათისა, რომ სწორედ თქვენთვის მომეყენებინა შეურაცყოფა, არამედ მე ვიბრძოდი იმ სისტემის წინააღმდეგ, რომელიც გამეფებული იყო რკინის გზებზედ. მაგრამ თქვენმა წერილმა დამარწმუნა რომ თქვენ სისტემის მსხვერპლი კი არა ხართ, არამედ შეგნებული მონაწილე და ხელისდამფარებელი ზოგიერთი ბოროტებისა.

თქვენ თავსა მართლულობთ იმით, რომ არც თქვენი ძმის საქმეს იცნობდით და არც თქვენი შვილისას და „არც იმ დროს ვყოფილვარ კომიტეტის სხდომაზედ, როცა ჩემი ძმის საქმე ირჩეოდა.“ მე არ მაინტერესებდა ის საკითხი, თუ რომელ სხდომაზედ იყავით თქვენ, არამედ ის, რომ თქვენ მთავარ კომიტეტის წევრი იყავით და თვით ეს ფაქტი იყო საკმაო, რომ თქვენ ძმას, ისე არ მოჰქცეოდნენ, როგორც სხვას. ეს რაღა თქმა უნდა თქვენი ბრალი არ იქნებოდა. ის რომ თქვენ რკინის გზების გამგეც ყოფილხართ უფრო აძნელებს თქვენს თავის გამართლებას, რადგან რაც უფრო მეტი ძალა გქონიათ, მით უფრო მეტ ანგარიშს გაუწევდნენ თქვენ ძმას. მაგრამ ყველაზედ უარესი ის არის, რომ თქვენ თქვენი ძმა სამართალში კი არ მიგიციათ, არამედ ჩაგიბარებიათ გამოძიება „ამხანაგებისათვის“ თქვენივე კომიტეტებიდან და რაღა თქმა უნდა უზრუნველ ჰყავით იგი, როცა გზის გამგე და მთავარი კომიტეტის წევრი გზავნის თავისი ძმის ბოროტ მოქმედების აღმოსაჩენად თავისივე და ძმისავე ამხანაგებს.

მაგრამ თქვენ უფრო შორსაც მიდიხართ: თქვენი ძმა დაუსჯიათ წიფაში გადაყვანით და თუ კი იგი მართალი იყო, რად მისცეს „პონიჟენიე“? თუ ყველა ამას დაუმატებთ იმასაც, რომ ჩემ მიერ მოყვანილი ოქმი, სადაც აბრალებენ სპირტით და ღვინით სპეკულიაციას თქვენ ძმას, ხელმოწერილია, არა „შემთხვევითი 36 კაცისაგან, როგორც თქვენ სწერთ, არამედ რომელსაც დაესწრო ყვირილის „რაიონის ადგილობრივ ორგანიზაციისაგან, მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს წევრი (ვ. გოგიაშვილი) და სამტრედიის ორგანიზაციის წევრი (ს. თევზაძე) დავინახათ, რომ ჩემთვის კი არა აქვს ამას ისეთი მნიშვნელობა, როგორც სასამართლოსი, (რომელსაც, ეტყობა, გაურბიან ძმანი კანდელაკები), არამედ, თქვენთვის უნდა ჰქონდეს და მე მიკვირს შემთხვევით 36 კაციაო, რომ ამბობთ, იმათაც ხომ „ყაჩაღურ მიდრეკილებას“ არ აბრალებთ? თქვენს ამხანაგებს—როგორც სწერთ?! ქუთაისის რკ. გზ. კომიტეტის აღმასრულებელი კომიტეტი ადასტურებს რომ კანდელაკსა ბრალდება ღვინით სპეკულიაცია.

რაც შეეხება მოსამსახურე ქალს—თქვენ ვერ უარყოფთ გაბედულად რომ იგი იღებდა ჯამაგირს რკინის გზიდან და ემსახურებოდა კანდელაკიანთ ოჯახს და ესეც საკმაოა, მით უფრო რომ თითონაც ჩიოდა თურმე ქ-ნი ზემლიაკოვა ორგანიზაციაში, რომ ასეთი ტანჯვა არ შემიძლიანო.

კუპრაშვილზედ უნდა მოგახსენოთ რომ ვერაფერი გამართლებაა მისი სამსახურის „მანკიროვკასა“ საქართველოს რკინის გზებზედ რუსეთის მინისტრის ნეკრასოვის ბრძანებით: ჩვენ სწორედ მაგასა ვჩივით ერთავად, რომ საქართველოში ბატონობენ რუსული მინისტრები, რუსეთის პარტია, რუსეთის „ზენტარული“ ღუხი და არა საქართველოს ნამდვილი ქართული მთავრობა, რომელიც ვერ ახერხებს ამის ამოფხვრას.

მაგრამ აპოგეი ა. კანდელაკის წერილისა იქ იწყობა, როცა იგი „ხსნის ფრჩხილებს“ შეკითხვის მიზნისას, ე. ი. იწყებს მკითხავობას: „მიზანი შეკითხვისა ის კი არ იყო რომ ვ. კანდელაკი გაეწბილებინათ, არამედ მე, ინჟინერი კანდელაკი გავეწბილებინე, და არა როგორც წევრი რკ. გზ. მთავარი კომიტეტისა, არამედ როგორც გამგე საქართველოს გზებისაო“.

მადლობა ღმერთს, ეხლა მაინც გავიგე, რომ ა. კანდელაკი ყოფილა ინჟინერი და გზების გამგე და სხვებიც გაიგებენ, თორემ იმავე მკითხავთან შემიძლიან დავიფიცო, რაც ეს ამბავა გაიგო ინჟინერმა კანდელაკმა, რომ არც ვ. კანდელაკი და არც ა. კანდელაკი ჩემთვის არაფერს საინტერესოს, როგორ პიროვნებანი არ შეადგენენ—მე ვხელმძღვანელობდი რკინის გზის ინტერესებით და თუ ოდნავ მაინც მივაღწიე საწადელს—მზათა ვარ პასუხი ვაგო სამედიატორო სასამართლოს წინაშეც, სადაც მიწვევს (?!) ბ-ნი ა. კანდელაკი და სახელმწიფო სასამართლოს წინაშეც.

**რ. გაბაშვილი**

## წინამძღვარიანთ-კარის სამეურნეო შკოლა.

წინამძღვარიანთ-კარის სამეურნეო სკოლა დაარსებულია ს. წინამძღვარიანთ კარში, დუშეთის მაზრაში...

სკოლის ქონებას შეადგენს: 1) 50 დესეტინა მიწა, რომელიც შესწირა სკოლის დამაარსებელმა ი. წინამძღვარიშვილმა, 2) 6 კარგათ მოწყობილი ქვის შენობა, 3) სკოლას აქვს აგრეთვე მდიდარი წიგნთსაცავი, ფიზიკური კაბინეტი და სამეურნეო იარაღების მოდელები... ყველა ზემოდ ნაჩვენები ქონება ეღირება არა ნაკლებ 3000.000 მან.

სკოლას, დღიდან მისი დაარსებისა, მდგომარე წლის 1 იანვრამდე, ინახავდა ი. წინამძღვარიშვილი, რომელიც ღებულობდა დახმარებას სკოლის ხარჯების დასაფარავად სათავად აზნაურო ბანკიდან წლიურად 5.000 მან. ი. წინამძღვრიშვილს ამერიდან არ ძალ-უძს სკოლის შენახვა და პატრონობა.

წინამძღვანიანთ-კარის სკოლა, დღემდე არსებულ პირველ დაწყებით სკოლებთან შედარებით, თუ მთელ საქართველოში არა, დუშეთის და თიანეთის მაზრებში მაინც წარმოადგენს ერთად-ერთ ოაზისსა., რომელსაც კი განსაკუთრებული წესდების ძალითაც შერჩენილი ჰქონდა ეროვნული სული და იმავე დროს იძლეოდა საკმაო პრაქტიკულ ცოდნას მეურნეობის სხვა და სხვა დარგიდან... სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ საქართველოს სხვა და სხვა კუთხიდან სკოლა იზიდავდა დიდ ძალ ახალ-გაზრდობას. მოკლე ხანში სასწავლებელი დაასრულა 300-დე მოწაფემ; აქედან ნაწილი ოჯახს მიეშველა თავიანთი მეურნეობის ასაყვავებლად და ნაწილი კი რუსეთის სამეურნეო სასწავლებელში შევიდა და იქიდან საშუალო სამეურნეო ცოდნით აღჭურვილი სამშობლოს დაუბრუნდა.

დღეს ამ სკოლამ უსახსრობისა გამო უნდა შეწყვიტოს თავისი ნაყოფიერი მუშაობა. 1 მარტიდან მასწავლებლებს და მოსამსახურეებს არ მიუღიათ ჯამაგირები.

ამ მდგომარეობის გამო წინამძღვარიანთ-კარის სკოლის გამგემ მოხსენებით და თხოვნით მიმართა საქართველოს ეროვნულ საბჭოს, როგორც მემკვიდრეს ყოფილ თავად-აზნაურების ქონებათა, რომ უკანასკნელს თავს ედო სკოლის მოვლა-შენახვა და მისცემოდა დახმარება 36.000 მან. თანახმად შედგენილ 1918 წ. ხარჯ-აღრიცხვისა.

ეროვნულ საბჭოს განათლების სექციამ განიხილა თხოვნა: მისცა სკოლას საბჭოს თანხიდან 5000 მ. და აღძრა შუამდგომლობა ყოფილ ამიერ-კავკასიის მთავრობის წინაშე, რომ მისცემოდა სკოლას 31.000 მანეთი—მდგომარე წლის ხარჯების დასაფარავად... ამიერ-კავკასიის მთავრობის დაშლის შემდეგ დასახელებული შუამდგომლობა გადაეცა საქართველოს სახალხო განათლების სამინისტროს და უკანასკნელიდან-კი საქმე განსახილველათ გადმოგვეცა მიწათ-მოქმედების სამინისტროში.

მიწათ-მოქმედების სამინისტრო სთხოვს რესპუბლიკის მთავრობას სასწრაფო წესით (ვიდრე გამოირკვეოდეს საზოგადოთ კითხვა ასეთ სკოლების მიღების შესახებ ჩვენს უწყებაში) მიეცეს სახელმწიფო ხაზინიდან წინამძღვარიანთ-კარის სამეურნეო სკოლის შესანახად 31.000 მანეთი, თანახმად 1918 წ. ხარჯთ-აღრიცხვისა.

## მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტის

### კანონი

(მიღებული ეროვნული საბჭოში)

### I.

შემოღებულ იქმნას 1912 წ. ივნისის 15-ის კანონი ადგილობრივ სასამართლოს გადაქცნისა შემდეგის დამატებით და ცვლილებით.

თ ა ვ ი 1.

ს ა ზ ო გ ა დ ო წ ე ს ი.

1. (12 მუხ. მაგ.) მომრიგებელ მოსამართლეთა თანამდებობა დაწესებულ იქნეს, როგორც ქალაქებში ისე მაზრებში (ოლქში); ყოველი მაზრა (ოლქი) მასში ჩარიცხულ ქალაქებთან ერთად შეადგენს სამომრიგებლო ოლქს.

შენიშვნა 1. საჭიროების მიხედვით შეიძლება რამდენიმე მოსაზღვრე მაზრა შეერთებულ იქნეს ერთ სამომრიგებლო ოლქად.

შენიშვნა 2. ქალ. თფილისი შეადგენს ცალკე სამომრიგებლო ოლქს.

2. (14 მუხ. მაგ.) სამომრიგებლო ოლქი განიყოფება სამომრიგებლო უბნებად, რომელთა რიცხვი საკანონმდებლო გზით დამტკიცებული ნუსხით განისაზღვრება.

3. ($14^1$ მუხ. მაგ.) სამომრიგებლო უბნის საზღვრების საბოლოოდ გავლება (შემუშავება) თვითეულ სამომრიგებლო ოლქში ეკუთვნის სათანადო მაზრის (ოლქის) საერობო კრებას, ერობის შემოღებამდე საზღვრებს აწესებს სათანადო მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობა.

შენიშვნა. ქალ. ტფილისში და აგრეთვე ქალაქებში, რომელთაც ნუსხაში მიკუთვნებული აქვთ განსაზღვრული რიცხვი მომრიგებელ მოსამართლეებისა, სამომრიგებლო უბნების საზღვრებს აწესრიგებს ქალაქის საბჭო.

4. ($14^2$ მ. მაგ.) სამომრიგებლო უბანთა საზღვრების გავლების დროს უნდა დაცულ იქნეს შემდეგი პირობა, რომ სოფლის საზოგადოება მთლიანად ამა თუ იმ სამომრიგებლო უბანში შევიდეს.

5. (15 მუხ. მაგ.) სამომრიგებლო უბანს განაგებს უბნის მომრიგებელი მოსამართლე.

6- (16 მუხ. მაგ ) სამომრიგებლო ოლქში გარდა უბნის მომრიგებელ მოსამართლისა შემოღებულ იქნეს თანამდებობა საპატიო მომრიგებელ მოსამართლისა.

7. (17 მ. მაგ.) უმაღლეს მამომრიგებლო ინსტანციას წარმოადგენს მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობა, რომელიც შესდგება თავმჯდომარისა და სამომრიგებლო ოლქის საუბნო და საპატიო მომრიგებელ მოსამართლეთაგან; მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობა არსდება სამომრიგებლო ოლქში.

8. მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის თამჯდომარეს სამის წლის ვადით ამოირჩევენ თავის წრიდან სამომრიგებლო ოლქის საუბნო და საპატიო მომრიგებელი მოსამართლენი. ყრილობის თავმჯდომარე თავისუფალია სამომრიგებლო უბნის გამგეობისაგან და თუ მას რომელიმე უბანი ჰქონდა ჩაბარებული, მის ადგილას საერთო წესით უნდა არჩეულ იქნეს ახალი მოსამართლე.

თ ა ვ ი 2.

წესი მომრიგებელ მოსამართლეთა არჩევნებისა და დანიშვნისა.

9. (24 მ. მაგ.) საუბნო და საპატიო მომრიგებელ მოსამართლეთ აირჩევს:

ა) ტფილისში—ქალაქის საბჭო.

ბ) დანარჩენ სამომრიგებლო ოლქებში მაზრის (ოლქი) საერობო კრება.

გ) სადაც ორი ან რამდენიმე მაზრაა შეერთებული ერთ სამომრიგებლო ოლქად, თვითეულ მაზრისათვის დაწესებულ მოსამართლეთა რაოდენობას აირჩევს საერობო კრება ამ მაზრისა.

დ) იმ ქალაქისათვის, რომელიც ცალკე ოლქს არშეადგენს, მაგრამ კანონით დამტკიცებულ ნუსხაში მიკუთვნებული აქვს განსაზღვრული რიცხვი მომრიგებელ მოსამართლეებისა, უკანასკნელთ აირჩევს ქალაქის საბჭო.

10. ერობის შემოღებამდე მომრიგებელს დანიშნავს იუსტიციის მინისტრი, ერობის შემოღების შემდეგ ამ პირთა უფლება გაუქმებულათ ჩაითვლება იმ დღიდან, როცა არჩეული მოსამართლენი შეუდგებიან თანამდებობის ასრულებას.

11. (19—20 მ. მაგ.) საუბნო და საპატიო მომრიგებელი მოსამართლე შეიძლება არჩეულ იქნეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ორივე სქესის იმ მოქალაქეთაგან:

ა) ვისაც ოცდა ხუთი წელი აქვს შესრულებული.

ბ) ვისაც უმაღლესი ან საშვალო განათლება აქვს მიღებული. განსაკუთრებულ შემთხვევაში შეიძლება არჩეულ იქნე ისეთი პირი, რომელსაც აღნიშნული განათლება არ მიუღია.

გ) ვინც გარდა ქართულისა იცის ის ენა, რომელსაც სამომრიგებლო უბნის უმრავლესობა ან მნიშვნელოვანი (არა ნაკლებ 20%-ს) უმცირესობა ლაპარაკობს.

შენიშვნა: უკეთუ სამომრიგებლო უბნის უმცირესობის ენის მცოდნე კანდიდატთა საკმაო რიცხვი არ აღმოჩნდა, მომრიგებელ მოსამართლედ შეიძლება არჩეულ იქმნეს ის, ვინც დანარჩენ მოთხოვნილებას სავსებით აკმაყოფილებს.

12. (21 მ. მაგ.) საუბნო და საპატიო მომრიგებელ მოსამართლედ არ შეიძლება არჩეულ იქნეს.

ა) ვის შესახებაც სწარმოებს გამოძიება, ან სამართალშია მიცემული, როგორც იმ დანაშაულობისათვის, რომელსაც თანასდევს უფლების აყრა ან შეზღუდვა, აგრეთვე ქურდობისათვის, მატყუარობისათვის, მევახშეობისათვის, მინდობილი ქონების მითვისებისათვის ან გაფლანგვისათვის, ნაპარავი ქონების გადამალვისათვის, ყიდვისათვის და დაგირავებისათვის, თუ იცოდა, რომ ქონება ნაპარავია ან ვისაგანმე მოტყუებით არის მიღებული, მექრთამობისათვის და მუქარით დატყუებისათვის (вымогательство).

ბ) ვისაც ამავე დანაშაულთათვის სასამართლოსაგან სასჯელი აქვს გადაწყვეტილი.

გ) ვინც სასამართლოს განჩინებით სამსახურიდან არის დათხოვნილი.

დ) ვინც ვერშემძლე მოვალეთ არის გამოცხადებული.

ე) ვინც მზრუნველობის (опека) იმყოფება მფლანგველობისათვის.

13. 26—32 მ. მაგ.) ცალკე სია იმ პირთა, ვისაც უფლება აქვს არჩეულ იყოს მომრიგებელ მოსამართლედ, არ შესდგება. არჩევა შეიძლება ყოველი პირის, ვინც პირობას აკმაყოფილებს.

14. არჩევნევის განსაჩივრება შეიძლება ორი კვირის განმავლობაში არჩევნების შემდეგ. საჩივარი მაზ. საერობო კრების ან ქალაქის საბჭოს თავმჯდომარეს უნდა გადაეცეს რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოსათვის, ხოლო მის დაარსებამდე სასამართლო პალატისათვის წარსადგენად თავის დასკვნითურთ.

15. (73 მ. მაგ.) მომრიგებელ მოსამართლის სრულიად დათხოვნა თანამდებობიდან თანახმად მისი თხოვნის ან დროებითი სამსახურიდან განთავისუფლება ორი თვის მეტის ვადით, ექვემდებარება რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოს, ხოლო მის დაარსებამდე იუსტიციის მინისტრს. სამსახურიდან განთავისუფლება ორი [illegible] დამოკიდებულია მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობაზე. მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის თავმჯდომარის დროებით სამსახურიდან განთავისუფლება დამოკიდებულია იუსტიციის მინისტრისაგან.

16. როგორც საუბნო მომრიგებელ მოსამართლესთან, ისე მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობაზე, საქმე სწარმოებს ქართულ ენაზე.

17. იმ უბნებში, სადაც უმრავლესობა მცხოვრებლებისა, რომელიმე არა ქართველ ერს ეკუთვნის საქმის წარმოება, როგორც სიტყვიერი, ისე წერილობითი უნდა ხდებოდეს ქართულისა და უბნის უმრავლესობის ენაზე.

18. იმ ოლქში, ან უბანში, სადაც არა ქართველი ერის ნაწილი შეადგენს ცხოვრებთა მნიშვნელოვან უმცირესობას (20%-ზე არა ნაკლებს) ყოველ გვარი ქაღალდის შეტანა მომრიგებელ სასამართლოში და სიტყვიერი განმარტების მიცემა შეიძლება უმცირესობის ენაზე; ამავე ენასე უფლება აქვთ განსაკუთრებული სასყიდლის გაუღებლად მიიღონ ყოველგვარი სამართლის წესით განსაზღვრულ ქაღალდების პირი. თუ სისხლის სამართლის საქმეში ბრალდებული, სამოქალაქო საქმეში კი ორივე მხარე მოითხოვს საქმის გარჩევას არა ქართულ ენაზე და მომრიგებელმა და მომრიგებელმა მოსამართლემ, ან მოსამართლეთა ყრილობამ იცის ეს ენა, საქმის სიტყვიერი წარმოება უნდა მოხდეს ამ ენაზე.

19. პატიმრად მყოფს თხოვნები და ყოველგვარი სასამართლო ქაღალდები შეუძლიან შეიტანოს დედა ენაზე.

20. მომრიგებელ მოსამართლეს ექვემდებარება საქმენი, სამოქ. წარ. წეს. მე-1462 მუხ. და სისხ. სამ. საქ. წარ. წესდ. მე-1259 და 1260 მუხ. აღნიშნულნი და ამასთანავე სისხლის სამართლის ყველა საქმე სახაზინო მართველობათა წესდების დარღვევის შესახებ, იმ საქმეთა გარდა, რომელთათვისაც კანონში დადგენილი სასჯელი შეერთებულია უფლებათა შეზღუდვასთან, ან ჯარიმა აღემატება 2000 მანეთს.

### II.

1. საქართველოს რესპუბლიკაში გაუქმებულია აწ არსებული თანამდებობა მომრიგებელ მოსამართლისა. ყველა ეს პირნი და აგრეთვე მათი კანცელარიის მოსამსახურენი, თუ ახალი თანამდებობა არ მიიღეს, დაკმაყოფილებულ იქნებიან საერთო წესით.

2. ზევით აღნიშნულ პირთა სამსახურიდან გადადგომა შეუძლიან მხოლოდ მაშინ, როდესაც ახალი მოსამართლენი შეუდგებიან მოვალეობის აღსრულებას.

### III.

1. გაუქმდეს სოფლის სასამართლოები და მათი ქვემდებარე დაუმთავრებელი საქმენი გადაეცეს სათანადო საუბნო მომრიგებელ მოსამართლეთ.

### IV.

1. მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტის განსახორციელებლად, თანახმათ ამ კანონით დართული შტატის და ხარჯთ აღრიცხვისა, გადაიდვას სახელმწიფო ხაზინიდან იუსტიციის სამინისტროს განკარგულებაში 1.97 800 მან. ხოლო აწინდელი კრედიტი მომრიგებელ მოსამართლეთა, მათ თანაშემწეთ და კანცელარიისა დახურულ იქნეს.

### V.

1. ესკანონი ძალაში შედის მთავრობის ოფიციალურ გაზ. „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნების მეორე დღიდან.

**რედაქტორი**: გრიგოლ ვეშაპელი.

**გამოცემა**: დამოუკიდებელი ნაციონალ-დემოკრატიულ პარტიის მთავარ კომიტეტისა და საპარლამენტო ფრაქციისა.

## განცხადებანი

## ქართულ გერმანული საზოგადოება

კვირას, 22 სექტემბერს შუადღის 12 საათზე (ფრეილინის ქ. № 11) **არტურ ლეისტი** წაიკითხავს მოხსენებას ქართულ პოეზიაზე. შემდეგ გერმანულად ნათარგმნი ქართულ ლექსებს წაიკითხავს **ფრიც ჰაინე**.

მიიღება ხელის მოწერა ყოველდღიურ ნაციონალ-დემოკრატიულ ქუთაისის გაზეთზე.

1918 წლ. „ჩვენი ქვეყანა“ 1918 წლ.

გაზეთის ფასი: ნახევარი წლით 27 მან., თვიურად 4 მან. და 50 კაპ. წლიურად ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილადაც გადაიხადონ. რედაქციის მისამართია: ქუთაისი, თბილისის ქ. ფიჩხაძის სახ., კანტორა ღიაა დილით 9—2 საათ. და საღამ. 5—7-მდი.